რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 29 სექტემბერი 1917 წ.

# ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მან. 80 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ქალაქში 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოიტანონ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 198. Редакція [illegible] გამოგზავნილ [illegible] მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 157 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 157

ღრმათ დამწუხრებული შვილები: კონსტანტინე, სტეფანე, ნიკო, ვლადიმერი, სიმონ და მათი ახმეტელაშვილები, ვარო ნაცვლიშვილისა და ნადეჟდა შალამბერიძისა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგ-მეგობრებს ძვირფას დედის,

## ელისაბედის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ამა წლის 25 სექტემბერს.

---

ნოე და ანეტა ხომერიკი აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს, რომ კვირას პირველ ოქტომბერს, დილის 10 საათიდან, წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი

## ალეკო ხომერიკის

გარდაცვალების მეორმოცე დღის თავზე. 3—1

---

რუსეთის „წითელი ჯვრის" სოც.-დემ. ჯგუფის ცენტრალური კოლექტივი აუწყებს ამხანაგთ და ნაცნობებს, რომ 27 სექტემბერს წ. ჯ. მოწყალ. დების საავადმყოფოში გარდაიცვალა მოწყალების და ფსიხიატრ. ორგან. წ. ჯ.

## მარიამ იაკობის ასული გულბისი.

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

---

მწუხარებით გულ-მოკლული შვილები: ვასო, ლევა და ცაცუ, რძლები: ოლღა და ვერა, შვილის შვილი პატარა ქეთუნია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარ და ძვირფასი

## მართა შენგელიასას

მიცვალებულის დაკრძალვა მოხდება 30 სექტემბერს ქ. ზუგდიდში.

---

ღრმათ დამწუხრებული მშობლები: ელისაბედ და რაჟდენ, ძმები: ვალიკო და მიშა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 40 დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის შვილის

## კოტე სტეფანოვის

სულის მოსახსენებლათ დანიშნულია შაბათს, 30 სექტემბერს დილით 12 საათზე კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში ქ. თფილისში.

---

# ოცდაათ სექტემბერს მოხდება ფულის შეკრება რევოლიუციის ფონდის გასაძლიერებლათ

---

# სავალდებულო დადგენილება

## თფილისის გუბერნიის სასურსათო გამგეობისა

რათა გამოკვლეულ იქნეს რაოდენობა ქალაქში არსებულ შეშისა და მის სწორი განაწილებისათვის თფილისის მცხოვრებთა შორის, თფილისის გუბერნიის სასურსათო გამგეობამ, თანახმად დროებითი მთავრობის 30 მარტის 1917 წლის დადგენილების მე 13-ტე მუხლისა, დაადგინა მოახდინოს აღწერა შეშის საწყობებში არსებულ შეშისა.

ამისათვის ყველა შეშის საწყობთა მეპატრონეები, ვალდებულნი არიან სამი დღის განმავლობაში წარმოადგინონ თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქ. № 8) ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი შეშა აქვთ მათ საწყობში, იმის ჩვენებით თუ რა ჯიშისაა, აგრეთვე ადგილ-მდებარეობა საწყობისა, სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი მისი პატრონისა.

იმ შეშის შესახებ, რომელიც ქალაქში შემოვა ამ აღწერის შემდეგ, ცნობები უნდა წარმოდგენილ იქნას მისი მიღებისთანავე.

თუ რომ აღმოჩნდება, რომ პატრონი ყალბ ცნობებს იძლევა შეშის რაოდენობის შესახებ, ან მალავს მას, შეშას მას ჩამოართმევენ და დამნაშავეთ პასუხის გებაში მისცემენ სასჯელთა დებ. 29 მუხლის ძალით, რომელიც ესჯება მომრიგებელ მოსამართლის მიერ. (კანონთა კრებ. 16 ტ. გამოც. 1914 წ. შესწორებული დროებითი მთავრობის მიერ 30 მარტს 1917 წ.) ეს სავალდ. დადგენილება ძალაში შედის მისი გაზეთებში გამოქვეყნების დღიდან.

(3—2) გუბერნიის სასურსათო გამგეობა.

---

### „ახალი საკრებულო"

(ყოფილი ხაროვსის კლუბი) მიხეილის პროსპექტი № 131.

პარასკევს, 29 სექტემბერს, წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე

## არშინ-მალ-ალან

მონაწილეობენ საუკეთესო ძალები. ◆ დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე.

---

## სამშენებლო კანტორა ი. ს. ვარაზაშვილისა

სთხოვს მოიჯარადრეებს და მონარდეებს, რომელნიც მუშაობდნენ ჯულფა-ბაქოს სამხედრო რკინის გზაზედ, მობრძანდნენ ანგარიშის მისაღებათ ამ წლის 25 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე. კანტორა მოთავსებულია ვერის დაღმართზე № 29. 3—3

---

განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

## 4 კლასიანი ვაჟთა და ქალთა გიმნაზია

ყოველგვარ უფლებით

## დ. ი. ეროზაშვილის

მიიღებიან მოწაფეები I მოსამზ., უმცროს და უფროსს მოსამზადებელ I და II კლასში. თხოვნები მიიღება ყოველ დღე. ◆ სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. დროებითი კანცელარია ღია დილის 9—2 საათ. და საღ. 5—8 საათამდე ბითიამის ქ., № 23 დიდუბე, ([illegible] ქ. ბოლოს) მეორე სართული. ტრამვაი 8. (3—1)

---

## პური

ჯარის-კაცებისა, ოფიცრებისა, სამხედრო უწყების ჩინოვნიკებისა და სხვა სამხედრო პირთა საყურადღებოთ.

კავკასიის ჯარის სურსათის მომარაგების საქმის მთავარ გამგესთან არსებულ საბჭოს 5 სექტემბრის დადგენილების თანახმად

## საკვებ სანოვაგის მიცემა

ჯარის-კაცთა, ოფიცერთა, ჩინოვნიკთა, აგრეთვე სამხედრო ვალდებულ მოსამსახურეთა, რომლებიც სხვა და სხვა ორგანიზაციებში მუშაობენ, ოჯახებს 1 ოქტომბრიდან შეუწყდებათ. ყველა აღნიშნული პირნი მიიღებენ საკვებ სანოვაგეს, ისე როგორც ყველა დანარჩენი თფილისის მოქალაქენი, გ. ი. ქალაქისა და კერძო კოოპერატიულ დუქნებიდან, ქალაქისა და კერძო ფურნეებიდან მხოლოდ და მხოლოდ სასურსათო ბარათებით. ამისათვის საჭიროა იმ დაწესებულებებმა, სადაც აღნიშნული პირები მსახურობენ, საჩქაროთ წარმოადგინონ ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროში მათი კოლექტიური ბარათები, რათა ისინი შეცვლილ იქნან საოჯახო ოჯახისათვის და კერძო პირთათვის ბარათებზე.

3—2 ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

---

თფილისის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ. სთხოვს პარტიულ პროპაგანდისტებს მოვიდნენ 30 სექტემბრის კრებაზე საღამოს 7 საათზე, გოლოვინის პროსპექტი № 12.

---

### მუნიციპალური საქმე

რ. ს.-დ. მ. პარტიის საოლქო კომიტეტთან იძლევა ცნობებს, პასუხს აძლევს მუნიციპალურ პოლიტიკის ყველა კითხვებზე. მიმართეთ სექციის მდივანს ი. ი. ჟორდანიას

---

1 ოქტომბრიდან იხსნება მოზრდილთათვის უფასო პოლიტიკური საღამოს კურსები და სკოლა სადაც იქნება სწავლა ქართულათ, რუსულათ და სომხურათ, მსურველთ შეუძლიათ მიმართონ მე-4 სამილიციო უბნის რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის კოლექტივის ბიუროში: ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6. ბიურო ღიაა საღამოს 7—9 საათამდე.

---

### „ახალი საკრებულო"

(ყოფილი ხაროვსის კლუბი) მიხეილის პრ. 131.

შაბათს, 30 სექტემბერს ჯარის-კაცთა და მუშათა საბჭოთ გამართავს წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება ცნობილი ოპერეტა

## არშინ-მალ-ალან

4 მოქ. გაჯიბეკოვისა, თ. ვანო გოგოშვილისა. მთელი წმინდა შემოსავალი გადაიდება რევოლიუციის სასარგებლოთ. დას. საღ. 8 ნ. ს.

რწმუნებული ვანო გოგოშვილი.

---

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.

სახ. სახ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრე პარასკევს 29 სექტემბერს 1917 წ. წარმოდგენილი იქნება

## ყაჩაღები

ტრ. 5 მოქ. შილლერისა თ. ნ. ავალიშვილისა. ადგილების ფასი 1 მ. 20 კ.-დან 25 კ.-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. შემდეგი წარმოდგენა 5 ოქტომბერს, რეჟ. ქ. შათირიშვილი, მისი თანაშემწე ალ. ბადრიძე. (2—2).

---

## დაიკარგა

ჯამაგირის მისაღები მოწმობა. მპოვნელთ ვთხოვ დამიბრუნონ ამ მისამართით: განმანაწილებელი პუნქტის კანტორა ალექსანდრე ივანეს ძე ჩუბინოვი.

---

## ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა

ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირის დღის გარდა. ქონინგის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

---

ექიმი

## დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, საღ. 5—7 საათამდის. გუნიბის ქ. № 41.

---

# ნაციონალისტები დემოკრატიის როლში

ერთ საყურადღებო მოვლენას ჰქონდა ადგილი დემოკრატიულ თათბირზე. ნაციათა წარმომადგენლების ჯგუფმა თითქმის ერთიანათ მისცა ხმა კოალიციის წინააღმდეგ და ერთფეროვანი სოციალისტური სამინისტროს შედგენა მოითხოვა.

რას მოასწავებს ეს? ამ ერთა უკიდურეს დემოკრატობას?

ეს რომ ასე იყოს ჩვენი ფედერალისტები თვით ბოლშევიკებზე მემარცხენეებათ ჩაითვლებოდენ, რადგან ისინი უკანასკნელ დროს სისტემატიურათ ექომაგებიან ბოლშევიკურ ტაქტიკას და ხშირათ აპარებენ კიდეც მათ უკიდურეს ლოზუნგების აღიარებაში. რაც შეეხება ერთ-ფეროვან დემოკრატიულ მთავრობას, ამაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. მათ უკვე დიდი ხანია დაგმეს ყოველი კოალიცია და შეძლებისდაგვარათ ცდილობენ მისი სახელის გატეხას.

ჩვენ არ გვიკვირს, როცა დაჩაგრული ერის ზომიერი ნაწილებიც-კი გაბატონებულ ერის ან მთელი სახელმწიფოს დემოკრატიას აფარებენ თავს და მისგან მოელიან ხსნას. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ერთა ჩაგვრისგან დახსნა მხოლოდ დემოკრატიის საქმეა.

მაგრამ მხოლოდ გულ-უბრყვილოს შეუძლია ეს თვით ნაციონალურ პარტიების ან ჯგუფების დემოკრატიზმის მაჩვენებელ მოვლენათ ჩასთვალოს.

სულ წინააღმდეგს გვეუბნება ამავე ერების მოქმედება ეროვნულ ფარგლებში.

თუ საერთოდ, მთელი რუსეთის საკითხებში ისინი წმინდა დემოკრატიულ მთავრობის შედგენას შესტრფიან, სამაგიეროთ შინ, თავის ერის საზღვრებში სულ სხვა პრინციპს მისდევენ.

აქ უკიდურეს რევოლიუციონერობათ მიღებული აქვთ ყველა პარტიების შეთანხმება, საერთო პლატფორმის შემუშავება და ასე დამფუძნებელ კრების ან ერ. მთავრობის წინაშე ერთსულოვნათ წარსდგომა.

აქ ბლოკი არა თუ ბურჟუაზიულ, არამედ არქი ბურჟუაზიულ და კონსერვატიულ პარტიებთანაც კი უდიდეს პოლიტიკურ სიბრძნეთ და აუცილებელ რევოლიუციურ მოთხოვნილებათ არის მიჩნეული. ასე იქცევიან ჩვენი ფედერალისტები და ნაც.-დემოკრატები, ამასვე სჩადიან უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის და სხვა ერთა ნაციონალისტური პარტიები და ჯგუფები. იქ ბლოკის უარყოფა—აქ კი მისი აღიარება. იქ ბურჟუაზიისაგან გამოცალკევება—აქ კი მასთან მჭიდრო დაკავშირება. იქ ინტერესები კლასთა ბრძოლის, აქ კი კლასთა თანამშრომლობის.

ასეთია მათი ორმაგი ბუხჰალტერიის ანგარიშები.

ასეთია დემოკრატიულ საზოგადოებაში გახვეული დიპლომატია ნაციონალისტების.

დღეს ისინი დემოკრატიასთან არიან, ხვალ მას მტრათ მოევლინებიან. დღეს მას ემხრობიან, ხვალ მისთვის ზურგიდან მახვილის ჩაცემას არ მოერიდებიან ეროვნულ ინტერესების სახელით.

თავის ერში კი ისინი ყოველ შემთხვევაში ასეთ დემოკრატიზმის გაბატონებას ერის მოღალატეობათ ჩათვლიან.

ამიტომ ამ მტერ-მოყვარეებთან დემოკრატიის მეტი სიფრთხილით მართებს მოპყრობა. რევოლიუციაში მათ აინტერესებს არა მისი განვითარების და დემოკრატიზაციის ინტერესები, არამედ—თავის ერისთვის უფლებების მოპოვება. და თუ საჭიროებამ მოიტანა ამ უკანასკნელს მზათ არიან პირველი მსხვერპლათ შესწირონ.

ამ შემთხვევაში მათთვის ნაციონალისტური ბრძოლის გაძლება უფრო ხელსაყრელია, ვინემ გულწრფელი დემოკრატიული მუშაობა და რამდენათ მათი მოქმედება სწორია, რაც სახელმწიფოს დემოკრატიზაციას სთხოვენ, იმდენათ მათი მოქმედება ამ დემოკრატიზმის ღალატია, რაც ეროვნულ ბრძოლით და სეპარატიულ ზომებით თავის განსაკუთრებულ მიზნების მიღწევას ლამობენ.

დემოკრატიამ, განსაკუთრებით დაჩაგრულ ერების დემოკრატიამ, ამას ყურადღება უნდა მიაქციოს, მათი ორმაგი პოლიტიკა გამოაშკარაოს. დემოკრატიულ პოლიტიკის წარმოება შინ და გარეთ, დემოკრატიულ მასის, მუშათა კლასის სოლიდარობა ეროვნების მიუხედავათ,—აი რა უნდა დააწეროს მან თავის დროშაზე.

ესაა სწორი გზა რევოლიუციის და თავისუფლების მოსაპოვებლათ, როგორც კლასისთვის, ისე ერისათვისაც.

---

# პატარა შენიშვნები

### 2. საარჩევნო სამზადისი.

დამფუძნებელი კრების არჩევნების ვადა მოახლოვდა. კიდევ რამოდენიმე კვირა და დეპუტატები არჩეული იქნებიან. განხორციელდება დიდი ხნის ნანატრი სურვილი. დიდი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება, რომლისათვის ბრძოლას ამდენმა თაობამ შეალია თავისი ძალღონე, ფაქტი გახდება; მრავალტანჯულ ქვეყანას პატრონი გაუჩნდება.

ბევრი, ძალიან ბევრი საქმე ექნება გასაკეთებელი დამფუძნებელ კრებას. მან უნდა გადაარჩინოს ქვეყანა დაღუპვას, დაამყაროს ახალი წყობილება, შეიმუშაოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, გადაჭრას მიწის საკითხი, საფუძველი ჩაუყაროს ფართე სოციალურ კანონმდებლობას, ჩამოაგდოს ზავი და ქვეყანა კვლავ ჩააყენოს ნორმალურ ცხოვრების კალაპოტში. ყველა აქეთკენ იყურება დღეს. ყველა ცის მანანასავით მოელის დამფუძნებელი კრების მოწვევას. მაზე ამყარებენ დიდიზე უდიდეს იმედებს. ის არის შორიდან მოკიაფე ბრწყინვალე ვარსკვლავი რუსეთის მოღრუბლულ ცაზე. დამფუძნებელმა კრებამ სასწაული უნდა მოახდინოს. მან ქვეყანა უნდა იხსნას ყოველგვარ უბედურებისაგან. ასე სწამს ეს ხალხის დიდ უმეტესობას. ბევრს ის რაღაც მისტიურ ძალათ აქვს წარმოდგენილი.

მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ეს დიდი იმედები არ იწვევს შესაფერ მოქმედებას. ფართო მასა მოკლებულია იმ აღფრთოვანებას, რომელიც სხვა დროსა და სხვა პირობებში აუცილებლათ უნდა მოყოლოდა დამფუძნებელი კრების არჩევნებს. მალე საარჩევნო ყუთს უნდა მივადგეთ, მაგრამ საარჩევნო კამპანია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ჯერ არც კი დაწყებულა. ქვეყანა რაღაც გარინდებას მოუცავს.

ჩვენ არ შევუდგებით ამ ერთი შეხედვით საკვირველი მოვლენის ახსნას. ეს არ შეადგენს ამ წერილის საგანს. ასე თუ ისე, მალე არჩევნები მოხდება. ხელმძღვანელ დემოკრატიულ წრეებში მისი ვადის კიდევ გადადებას შეუძლებლათ სთვლიან.

სოციალდემოკრატიამ ამას ანგარიში უნდა გაუწიოს და საარჩევნო სამზადისს ენერგიულათ შეუდგეს. ვინც გავლილ მუნიციპალურ არჩევნებს აკვირდებოდა—მისთვის აშკარაა, თუ რა დიდი მუშაობა გვიდგას წინ, თუ რამდენი ძალა და ენერგიაა საჭირო, რომ საარჩევნო ბრძოლა ჩვენი პარტიის საკეთილდღეოთ დავაგვირგვინოთ.

რა გვაკეთებთ დღემდი ამისათვის?

უნდა აშკარათ ვაღიაროთ—ძალიან ცოტა. ჯერ-ჯერობით არაფრიდან არ სჩანს, რომ ჩვენ ვემზადებით გენერალური ბრძოლისთვის. ვლაპარაკობთ, რომ დიდი საქმე გვაქვს გასაკეთებელი, მაგრამ სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები ჯერ არ გადაგვიდგამს. არ შეგვიქმნია შესაფერი საარჩევნო ორგანიზაცია, არ გვაქვს საარჩევნო ფონდი, არ გვყავს რაზმი პროპაგანდისტ აგიტატორებისა, არ არის შესაფერი პოპულიარული საგიტაციო ლიტერატურა და სხვ. ყველაფერი ეს აწი უნდა გაკეთდეს, მოკლე დროში, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია კიდევ დარჩენილი. მით უფრო მეტი ენერგიით უნდა შევუდგეთ ადგილობრივი ორგანი-

# საერთაშორისო ომი

**ყველა ფრონტებზე მოწინააღმდეგე თავის სანგარში ზის და მხოლოდ ცდილობს ზარბაზნების ქუხილით თავზარი დასცეს მტერს. არც ერთ ფრონტზე ერთი მნიშვნელოვანი შეტაკება არ მომხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ იტალიელებმა ამ დღეებში რამდენიმე ტყვე ხელთ იგდეს. მხოლოდ ზარბაზნები ეჯიბრებიან ერთი მეორეს, ჯარი კი ერთ ადგილზე დგას. შესაძლებელია ეს იმის მიზეზი იყოს, რომ ფრონტებზე დიდი წვიმები დაიწყო, ისიც შესაძლებელია, როგორც გამოცდილი სამხედრო პირები ამბობენ, მტერი ძლიერ შეტაკებისთვის ემზადებოდეს, რომ მოულოდნელად თავს დაესხას მოწინააღმდეგეს და საგრძნობელი ზიანი მიაყენოს.**

ზაციები საარჩევნო სამზადისს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამიერ-კავკასიის საარჩევნო პირობები დიდათ განსხვავდება შიდა რუსეთის პირობებისგან. იქ პარტიული ბრძოლა უფრო გამარტივებულია, ვინემ აქ. ჩვენი ნაციონალისტური პარტიები, უეჭველია, შეეცდებიან კლასიური ბრძოლის მაგიერ ნაციონალური ბრძოლა გააჩაღონ, თვითეული ერის გულში დამარხული სოციალური წინააღმდეგობანი მიაფუჩეჩონ და ერთი ერი მეორეს დაუპირდაპირონ საარჩევნო ბრძოლის ასპარეზზე. ეს გარემოება მეტის მეტად ართულებს საქმეს და მუშათა პარტიისაგან მოითხოვს ძლიერ სიტყვის და წერილობით პროპაგანდა-აგიტაციის გაჩაღებას.

დღეიდან მაინც ამას უნდა მიექცეს უპირველესი ყურადღება. სოციალ-დემოკრატიას ხომ უმთავრესათ აინტერესებს არჩევნების არა ტეხნიკური, არამედ იდეური შედეგი, არა დეპუტატთა რიცხვი, არამედ ის, თუ რამდენათ შესძლო მან თავისი იდეური გავლენის გავრცელება ფართო მასაში. მომავალი არჩევნები საშვალებას აძლევს პარტიას პირისპირ შეხვდეს მილიონ ამომრჩევლებს, საგსებით გადაუშალოს მათ თავისი პროგრამა და ტაქტიკა და დაუპირდაპიროს ის სხვა პარტიათა და ჯგუფთა პროგრამასა და ტაქტიკას.

ამ მიზნისთვის დაუყოვნებლივ უნდა შედგეს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციასთან პროპაგანდისტ-აგიტატორთა ჯგუფები და შემუშავდეს გეგმა აგიტაციისა. რა თქმა უნდა, ჩვენი მცირე რიცხოვანი ინტელიგენტური ძალები ვერ დააკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნილებას აგიტატორების მხრივ. ამიტომ საჭიროა მოწინავე მუშათა ჯგუფების შედგენა. ეს აუცილებელია, უამისოთ ჩვენი ძალები ვერ გაწვდებიან ყველა ადგილებს.

სიტყვიერ აგიტაციასთან ერთად საჭიროა ფართე ლიტერატურული აგიტაცია. პარტიულმა პრესამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენი საარჩევნო პლატფორმის განმარტებას. უნდა გაძლიერდეს საგამომცემლო მოღვაწეობა და დამფუძნებელი კრების გარშემო გამოიცეს მთელი რიგი პოპულიარული ბროშიურებისა.

მარა ყველაფერი ეს მოითხოვს დიდ თანხას, დიდ საარჩევნო ფონდს. ჩვენდა სამწუხაროთ პარტიული ორგანიზაციები ამ მხრივ თითქმის სრულიად მოუმზადებელი არიან. უფულოთ კი შეუძლებელია ცოტათ თუ ბევრათ რიგიანი საარჩევნო კამპანიის ჩატარება. თფილისის საქალაქო არჩევნები ორგანიზაციას რამდენიმე ათი ათასი მანეთი დაუჯდა. რაღა იქნება დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს? საჭიროა ასი ათასობით თანხა, ჩვენ კი ჯერჯერობით კაპეიკობით ვითვლით. ყველა პარტიის წევრმა, ყველა თანამგრძნობმა დაუყოვნებლივ უნდა გამოიღოს თავისი წვლილი. ჩვენს პარტიას არ ჰყავს მდიდარი კეთილისმყოფელები. ჩვენი საარჩევნო ფონდი მუშათა კაპეიკებისაგან უნდა შესდგეს. მარა თუ ყველა წევრი და თანამგრძნობი დაინტერესდება ამით, თუ არავინ დაიშურებს ამ კაპეიკებს მაინც ძლიერი საარჩევნო ფონდის შედგენა შეიძლება. ამიერ კავკასიის ორგანიზაციებში 70 ათასზე მეტი წევრი ითვლება. თუ ამ დიდი ჯარის ყველა წევრი გაიმსჭვალება ერთი სურვილით, ერთი მისწრაფებით—საარჩევნო კამპანიის მატერიალური მხარე უზრუნველყოფილი იქნება. მარა ამას დაყოვნება არ ესაჭიროება. ამაზე ლაპარაკი ახლავ დაგვიანებულათ უნდა ჩაითვალოს. ეს დღემდი უნდა გაკეთებულიყო. არ კმარა მარტო დღიური ხელფასის გადადება, როგორც ამას ფიქრობენ პარტიულ წრეებში. გარდა ამისა, საჭიროა ყველგან მოეწყოს ყულაბებით ფულის შეგროვება, ფასიანი ლექციები, წარმოდგენები, საღამოები და სხვ.

ძლიერი საარჩევნო ფონდის შექმნა აუცილებელია. უამისოთ ჩვენი პარტია იგივე იქნება, რაც ჯარი ომის დროს უთოფოთ და უწამლოთ.

ნ. ხ.

# დამფუძნებელი კრების მოლოდინში

## II. კონსტიტუცია.

კონსტიტუცია ნიშნავს უფლებრივ სახელმწიფოს ანუ ისეთ წეს-წყობილებას, სადაც პიროვნების უფლება კანონით დაცულია. კონსტიტუცია შეიძლება კარგიც იყოს და ცუდიც—ეს დამოკიდებულია საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებაზე. დიდი რევოლიუციის დროს საფრანგეთის ერმა სამჯერ შეიმუშავა კონსტიტუცია: 1789, 1791 და 1793 წ. განსხვავება მათ შორის დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომელ საზოგადოებრივ კლასის ხელში გადადიოდა რევოლიუციონური ძალაუფლება. პირველ კონსტიტუციას უფრო დეკლარაციული ხასიათი ჰქონდა და ზოგადი ფრაზებით იყო შეზავებული, მეორე მხოლოდ ნახევრათ იყო დემოკრატიული, მესამე—წმინდა დემოკრატიული. მაშასადამე, იმისდა მიხედვით, თუ როგორი ხასიათს ღებულობს რევოლიუციის მსვლელობა, იცვლება კონსტიტუციის შინაარსი. „ნამდვილი კონსტიტუცია, ამბობს ლასალი, რეალურ ძალთა განწყობილებაში მდგომარეობს. ქაღალდზე დაწერილ კონსტიტუციას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა და სიმტკიცე, როდესაც იგი გამოხატავს საზოგადოებაში არსებულ ძალთა ურთიერთობას“ *).

როგორც ვიცით, რევოლიუციის დროს ორი მიმართულება ებრძვის ერთმანეთს: ძველი და ახალი. მაგრამ რევოლიუციის გამარჯვებით ახლებშიაც ყველა ერთნაირათ არ არის დაინტერესებული. მაგალ., ბურჟუაზიული კლასი დაინტერესებულია მხოლოდ უფლებრივი თანასწორობით და პოლიტიკური თავისუფლებით, პროლეტარიატი კი—ეკონომიური და სოციალური თანასწორობით. ბურჟუაზიულ კლასისთვის რევოლიუცია თავდება იქ, სადაც იწყება პროლეტარიატისთვის. ამიტომ, როდესაც რევოლიუციის დროს ისმება საკითხი: ან პროლეტარიატის სრული გამარჯვება, ან და რეაქცია—ბურჟუაზია მუდამ ამ უკანასკნელისკენ იხრება. თავდაცვის ინსტიქტი აიძულებს მას კავშირით შეეკრას ისეთ საზოგადოებრივ კლასებს, რომელსაც იგი წინათ ბრძოლას უცხადებდა. ასეთ ტაქტიკას ადგენ საფრანგეთში ჟირონდელები **), პრუსიაში—ლიბერალური პარტია, მხოლოდ რუსეთში—კადეტები. ბურჟუაზიას არ შეუძლია ბოლომდე იბრძოლოს: მისი ბუნება ორპირულია და ოპორტიუნისტული. როგორც უკვე აღვნიშნეთ. ბურჟუაზია უკავშირდება რეაქციას და უკან დახევის პოლიტიკას აწარმოებს. ეს ორი საზოგადოებრივი ძალა იმუშავებს ერთგვარ კომპრომისს და გამოდის დარაზმული რევოლიუციის წინააღმდეგ. სიტყვა კომპრომისი ნიშნავს საერთოთ დათმობას, მორიგებას. ამ დათმობის ნიადაგზე იქნება თავისებური წესწყობილება, რომელსაც მონარქიულ კონსტიტუციას უწოდებენ. მაშასადამე, აქ ძველი პრინციპი—მონარქია არ არის სრულიად უარყოფილი: იგი ხელოვნურათ მიწებებულია კონსტიტუციაზე. ამ გზით შემუშავდა, სხვათა შორის, 1850 წლის პრუსიის კონსტიტუცია, რომელიც შედეგად მოჰყვა რევოლიუციის დამარცხებას გერმანიაში და ავსტრიაში. გერმანიის კონსტიტუცია—ტიპიური მონარქიული კონსტიტუციაა და, მგონი, ზედ მეტი არ იქნება ცოტა დაწვრილებით განვიხილოთ იგი. „პრუსიის მეფე (იგივე გერმანიის იმპერატორი. დ. ო.) პირველი პირია სახელმწიფოში. იგი განაგებს მთელ სახელმწიფოს და მეფობს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით; იგი იღებს ფაქტიურ მონაწილეობას ყველა საქმეებში და იმის დაუკითხავათ არაფერი არ კეთდება. მას მინიჭებული აქვს კანონმდებლობითი უფლება და „ვეტო“-ს უფლება ***). მაშასადამე, მონარქიულ კონსტიტუციის დროს სუვერენიტეტი ისევ მეფის ხელშია. აქ პარლამენტს მხოლოდ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ამიტომ, როდესაც გერმანიაში მეფის და რეიხსტაგის შორის კონფლიქტი იბადება, გამარჯვებული მუდამ მეფე გამოდის. ასე იყო, მაგალ., 1862—1866 წლებში პრუსიაში ****). პირველმა მინისტრმა ბისმარკმა ლანდტაგს წაუყენა დასამტკიცებლად სამხედრო კანონპროექტი, რომელიც სახელმწიფოსაგან დიდ ხარჯებს მოითხოვდა ჯარის რეორგანიზაციისთვის. მიუხედავათ იმისა, რომ ლანდტაგმა არ დაამტკიცა ეს პროექტი, ბისმარკმა ძალით გაიყვანა ის ცხოვრებაში. მთავრობამ ადვილათ შესძლო ეს საქმე, ვინაიდან მას მხარეზე იყო შეიარაღებული ძალა. ტყუილათ კი არ ამბობდა ბისმარკი, რომ „კონსტიტუციის საკითხი დაბოლოს ძალის საკითხია“.

მკითხველს უეჭველია ეცოდინება, რომ ყველა პარლამენტარულ სახელმწიფოში არსებობს ეგრედ წოდებული მინისტრთა საბჭო. ეს უკანასკნელი გამოდის პარლამენტის წრიდან და პასუხისმგებელია მის წინაშე. არაფერი ამის მსგავსი არ არსებობს გერმანიაში. იქ მინისტრები მეფის მიერ არიან დანიშნულები და პასუხს აგებენ მხოლოდ მის წინაშე. მინისტრები ემორჩილებიან პირდაპირ რეიხსკანცლერს, ხოლო ეს უკანასკნელი—იმპერატორს. რეიხსკანცლერი იმპერატორის მარჯვენა ხელია და მისი სახელმწიფოებრივი ნების აღმასრულებელი. ამიტომ რეიხსტაგში კანცლერი მუდამ იმპერატორის სახელით ლაპარაკობს და არა როგორც ამა თუ იმ ფრაქციის წარმომადგენელი. კანცლერს იმპერატორი იწვევს და მისი სამსახურიდან დათხოვნა მხოლოდ იმპერატორს შეუძლია. 1886 წ. პრუსიის მთავრობამ სრულიად უმიზეზოდ განდევნა ათასობით პრუსიიდან რუსეთის და ავსტრო-უნგრეთის ქვეშევრდომი პოლონელები. როდესაც რეიხსტაგში ერთმა პოლონელმა შეკითხვა შეიტანა კანცლერისადმი, ამ უკანასკნელმა არც კი მოისურვა პასუხის გაცემა. ამის შესახებ რეიხსტაგმა რეზოლიუცია გამოიტანა, სადაც გაკიცხული იყო მთავრობის ასეთი საქციელი. პარლამენტარულ სახელმწიფოში ასეთ შემთხვევაში სამინისტრო უმალ სამსახურს თავს ანებებს, გერმანიაში კი აი რა პასუხი მისცა კანცლერმა რეიხსტაგს: „ჩვენ მაინც ჩვენსას ვეცდებით და რეიხსტაგის ოცი დადგენილებაც საქმეს ვერ შესცვლისო“.

ერთი სიტყვით, გერმანიის კონსტიტუცია ძლიერი კონსერვატიული სულით არის შეპყრობილი. მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება იმპერატორის ხელშია.

რით აიხსნება ეს მოვლენა? ნუ თუ გერმანიის ხალხს ნაკლებათ უყვარს თავისუფლება? აქ უნდა გავიხსენოთ ისევ დიდებული ლასალის სიტყვები: „ნამდვილი კონსტიტუცია რეალურ ძალთა განწყობილებაში მდგომარეობს“. მაშინ, როდესაც იწერებოდა გერმანიის კონსტიტუცია, სწორედ ეს რეალური ძალთა განწყობილება მეფისკენ იყო და არა ხალხისკენ. ეს იყო ხანა რეაქციის გამარჯვების და რევოლიუციის დამარცხებისა. 1849—50 წ. გერმანიის იმპერატორმა ჯერ იარაღით დაამარცხა აჯანყებული ხალხი და მერე უწყალობა მას კონსტიტუცია. რასაკვირველია გამარჯვებულ მეფეს შეეძლო ცეცხლიც არ მიეცა ხალხისათვის, მაგრამ წარსული მწარე გაკვეთილები უკარნახებდენ მას დათმობის პოლიტიკას. „ჩემ თავის დროზე ნებას არავის მივცემ, ამბობდა 1847 წ. პრუსიის მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ IV, რომ ღმერთსა და ჩემ შორის გაიხიროს რაიმე დაწერილი ქაღალდის ნაგლეჯი!“ *) (ე. ი. კონსტიტუცია. დ. ო.) 1848 წ. მარტში იგივე მეფე ქუდ-მოხდილი და თავმოხრილი იდგა ბერლინში ბარიკადებზე დახოცილთა გვამების წინაშე...

ერთი სიტყვით, 1850 წ. კონსტიტუცია იყო ერთგვარი ხელშეკრულობა, რომელიც დასდო გამარჯვებულმა მეფემ და დამარცხებულმა ხალხმა. როგორც ხდება ხოლმე ასეთ დროს აქაც, რასაკვირველია, ზავის პირობები გამარჯვებულმა მხარემ უკარნახა დამარცხებულს. თქმა არ უნდა იმას, რომ ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში გერმანიის სოციალური ცხოვრება ძალზე შეიცვალა. მისი ეკონომიური განვითარება ზღაპრული ნაბიჯებით მიდის წინ და ამის დამოხედვით იცვლება რეალურ ძალთა განწყობილებაც, მაგრამ გერმანიის პოლიტიკური ცხოვრება კი ძალიან ნაკლებად იცვლება. რად ხდება ასე? ეს აიხსნება ორი მიზეზით: ერთის მხრივ იმით, რომ გერმანიის იმპერატორი ამ ბოლო დროს დათმობის პოლიტიკას ადგია, და მეორე—იმით, რომ მისი მთავრობის წარმომადგენლნი იჩენენ დიდ ენერგიას და სახელმწიფოებრივ ცხოვრების უნარს. მიუხედავათ ამისა, გერმანიის მონარქიულ კონსტიტუციას დიდი დღე არ უწერია. მალე დაჰკრავს გერმანიის საშველისწერო საათი და გამარჯვებული ხალხი მოიპოვებს ბრძოლით ისეთ კონსტიტუციას, რომელიც მართლა გამოხატავს მის რეალურ ძალთა განწყობილებას.

მაშასადამე, მონარქიული კონსტიტუცია სრულიად არ გამოხატავს დემოკრატიის სურვილს. იქ, სადაც მონარქიული კონსტიტუცია ფეხს იკიდებს, ძალზე ბნელდება დემოკრატიის პოლიტიკური შეგნება. ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით, თუ რა თვისებისა იყო რუსეთში მონარქიული კონსტიტუცია. აქ, ე. ი. რუსეთში მონარქიამ სრულიად გადაუსვა კონსტიტუცია, ამოსწოვა მას სული და დასტოვა მხოლოდ ნიღბი. სამინისტრო პასუხის მგებელი იყო პარლამენტის წინაშე. რუსეთში მეფის მთავრობა არ სცნობდა არავითარ პასუხისმგებლობას. გაიხსენეთ კოკოვცევის ისტორიული სიტყვები: „დიდება ღმერთს, რომ ჩვენში პარლამენტი არ არის!“ გასაოცარი სიჯიუტით იცავდა მეფის მთავრობა თვითმპყრობელობის პრინციპს და აბუჩებდა პარლამენტარიზმის იდეას. მაგრამ თვითმპყრობელობა მაინც დამარცხდა და პარლამენტარიზმის იდეამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა. რევოლიუციამ დაამსხვრია ძველი კერპები და მასთან ერთად მონარქიული კონსტიტუციაც.

დ. ონიაშვილი.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. Ф. Лассаль. „О сущности конституціи“. გვ. 32.

**) ჟირონდელები უმთავრესათ ბურჟუაზიულ არისტოკრატიას ეკუთვნოდენ. მიაღწია რა თავის სურვილს, ამ პარტიას უნდოდა რევოლიუციის შეჩერება, მაგრამ რევოლიუციის ძლიერმა ტალღამ შთანთქა მთელი პარტია.

დ. ო.

***) იხ. Дюпріе: „Государство и роль министровъ въ Пруссіи“, გვ. 23. „ვეტო“ ნიშნავს მეფის უფლებას, შეაჩეროს კანონი, რომელიც მიღებულია პარლამენტის მიერ.

დ. ო.

****) გერმანიის კონსტიტუცია თითქმის არაფრით არ განსხვავდება პრუსიის კონსტიტუციისაგან. ამიტომ ჩვენ ვეხებით ორივეს ერთსა და იმავე დროს.

დ. ო.

*) საერთოდ ამ მეფეს ისე სძულდა კონსტიტუცია, რომ ამ სიტყვის ხმარებაც კი ეჯავრებოდა. კონსტიტუციას იგი უძახდა „პატენტს“.

იხ, Сеньобосъ Новѣйшая исторія Европы გვ, 101.

დ. ო.

---

# დეპეშები.

(პ. დ. ს.) 28 სექტემბერი.

### სასურსათო კრიზისით გამოწვეული არეულობა.

**სიმფეროპოლი.** გამწვავებულმა სასურსათო კრიზისმა არეულობა გამოიწვია. ქ. სიმფეროპოლში სამი ათასმა კაცმა ალყა შემოარტყა სასურსათო გამგეობას და დაჟინებით მოითხოვდენ სამანუფაქტურო საქონელს. გამგეობა საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან საქონლის უქონლობის გამო არ შეეძლო ამხედრებული ბრბოს დაკმაყოფილება. დაიწყო ჩხრეკა. ბნელმა ძალებმა ისარგებლეს შემთხვევით და „პოგრომული“ აგიტაცია გააჩაღეს. ევპატორიაში სამი დღის განმავლობაში განუწყვეტელი ჩხრეკა იყო, ეძებდენ პირველ საჭიროების საგნებს. მეორე დღეს სასურსათო გამგეობამ დაადგინა მოახდინოს ჩხრეკა. დადგენილება სისრულეში მოიყვანეს, მაგრამ საიმისო ვერსად ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს.

### ახალი სესხი.

**ტოკიო.** ხელი მოაწერეს რუსეთის ახალ სესხზე 30 მილიონ იენზე და 1916 წელს აღებულ 14 მილიონ იენის სესხზე, რომელიც ერთი წლით კიდევ განაახლეს.

### დროებითი მთავრობის დეკლარაცია.

**პეტროგრადი.** (ამ დეკლარაციის პირველი ნაწილი დეპეშათა სააგენტოს განყოფილებას ჯერ არ მიუღია) ღრმა რწმენით აღჭურვილი, რომ მხოლოდ საერთო მშვიდობიანობას შეუძლია შეძლება მისცეს ჩვენ სამშობლოს ფრთა გაშალოს, დროებითი მთავრობა განაგრძობს თავის ნამდვილ საგარეო პოლიტიკას დემოკრატიულ საფუძველზე, რომელიც რუსეთის რევოლიუციამ წამოაყენა. ისწრაფვის რა მოიპოვოს საყოველთაო ზავი, ისე რომ არცერთ მხრიდან ძალადობა არ იყოს, დროებითი მთავრობა ახლო ხანში მონაწილეობას მიიღებს მოკავშირე სახელმწიფოთა კონფერენციაში, გაგზავნის იქ თავის წარმომადგენლებს კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს, აგრეთვე დემოკრატიულ ორგანიზაციების ნდობით აღჭურვილი პირიც საერთო სამხედრო საქმეების გარჩევის გარდა, ჩვენი წარმომადგენელნი ამ კონფერენციაზე ეცდებიან შეუთანხმდენ მათ რუსეთის რევოლიუციის მიერ წამოყენებულ პრინციპზე. ზავის ჩამოგდების შესახებ მოქმედების დროს დროებითი მთავრობა არ დაივიწყებს საზოგადო მოკავშირეთა საქმეს და ენერგიულად პასუხს გასცემს მტერს, სანამ ეს ზავი მოხდებოდეს. ჯარის ბრძოლის შეძლების გასაძლიერებლად მთავრობა დემოკრატიულ გზით ივლის, რადგან მხოლოდ ამ გზას შეუძლია სასურველი შედეგები მოგვცეს. ჯარის ორგანიზაციებს საფუძვლად დაედება მის ხელმძღვანელთა შეცვლა ტეხნიკურათ მომზადებულ და რესპუბლიკის ერთგულ პირებით და ჯარის უფროსების ჯარის და ფლოტის ორგანიზაციებთან შეთანხმებული მოქმედება, რაც მხოლოდ ერთად ერთი საშვალებაა ჯარში დისციპლინის აღსადგენათ. ჯარისა და ფლოტის ორგანიზაციების მოვალეობათა განსაზღვრა აღნიშნულ იქნება ცალკე კანონში, რაც მათ დადებითი ხასიათს მისცემს. უპირველეს ყოვლისა დროებითი მთავრობა ეცდება შეამციროს ჯარების რიცხვი, ჯერ დაითხოვს მეტ ხნოვან ჯარისკაცებს. ქვეყნის უკიდურეს მდგომარეობიდან გამოსაყვანათ დროებითი მთავრობა საჭიროთ სცნობს მიიღოს შემდეგი ზომები:

1) სახალხო მეურნეობის დარგში. დროებითი მთავრობა ეცდება დააწესოს მაგარი ფასები მრეწველობის ძირითად საგნებზე და ამავე დროს მოაწყობს შრომისა და კაპიტალის შორის ურთიერთ დამოკიდებულების სამუშაო ქირის და დროს საქმეს. მთავრობა საჭიროთ სცნობს. სანოვაგის, როგორც დამზადების, ისე განაწილების საქმეში მიიწვიოს კოოპერატივები, საგანგებო კანონით წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების მუშათა და მეწარმოებელთა კლასების წარმომადგენლების მონაწილეობით; წარმოების მოქმედებაში ჩარევას; შრომის ბირჟების მომრიგებელ კამერების დაარსებას და მუშათა კოალიციის უფლების დაცვას; მრეწველობის დემობილიზაციისთვის თანდათანობითი მომზადებას, უმუშევრობას თავიდან ასაცილებლათ საზოგადო სამუშაოთა გეგმის შედგენას, რომელსაც მიზნათ ექნება ომისაგან დანგრეულ მეურნეობის აღდგენა.

2) მიწების შესახებ. მიწების მოწესრიგების საქმე უნდა გარდაეცეს მიწების კომიტეტებს, რომელთა განკარგულებაში არსებულ მიწის მფლობელობის ფორმის დაურღვევლათ, გარდაეცემა სოფლის მეურნეობისთვის დანიშნული მიწები, რომ უფრო მეტათ ისარგებლონ ქვეყნის სამეურნეო საშინელ კრიზისიდან თავის დასახსნელათ.

3) ფინანსიურ რეფორმების დარგში. მემკვიდრეობაზე გადასახადის დადება, არა პირდაპირ გადასახადის გადიდება და მონოპოლიის სახით ახალის შემოღება, სახელმწიფო ხაზინიდან დაზოგვით ფულის ხარჯვა; კერძო საკრედიტო დაწესებულებაზე სახელმწიფო კონტროლი.

4) ადგილობრივ მართვა-გამგეობის საქმეში. ადგილობრივ თვითმართველობის შესახებ დემოკრატიულ კანონების განხორციელება და მისი განვითარება იმ მიზნით, რომ ადგილობრივ მართვა-გამგეობის საქმე თანდათან თვითმართველობათა ხელში გადავიდეს, ხოლო მთავრობის კომისარებს მხოლოდ ის უფლება დარჩეს, რომ ამ თვითმართველობათა კანონიერ მოქმედებას [illegible].

5) ნაციონალური [illegible] ეროვნებათა უფლებებს [illegible], ამ საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს დამფუძნებელი კრება; შემუშავება და გამოცემა ისეთ კანონის, რომლითაც ეროვნებათა უმცირესობას მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში უფლება ჰქონდეთ ისარგებლონ მშობლიურ ენით სკოლებში, სასამართლოებში და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებთან დამოკიდებულების დროს. დროებითი მთავრობასთან ნაციონალურ საქმეების შესახებ საბჭოს დაარსება, სადაც წარმოდგენილი იქნება ყველა ეროვნება და რომელიც ნაციონალურ კითხვების შესახებ მასალას მოუმზადებს დამფუძნებელ კრებას.

მართალია, ამ მოკლე დროში, რომელიც დარჩა დამფუძნებელ კრების მოწვევამდე მთავრობას არ შეუძლია ყველა ეს ზომები განახორციელოს, მაგრამ ეხლავე საქმის დაწყება ამ ზომების შესამუშავებლათ დიდათ შეუმსუბუქებს სამუშაოს დამფუძნებელ კრებას და მისთვის ადვილი შეიქნება მათი ცხოვრებაში გატარება; რომ მთავრობას მჭიდრო კავშირი ჰქონდეს საზოგადოებრივ ძალებთან, დრ. მთავრობა ამ დღეებში შეიმუშავებს და გამოაქვეყნებს რესპუბლიკის დროებითი საბჭოს დებულებას, რომელიც იმოქმედებს დამფუძნებელ კრებამდე. ამ საბჭოს, სადაც იქნებიან საზოგადოების ყველა ნაწილების წარმომადგენელნი და აგრეთვე დემოკრატიულ თათბირის მიერ არჩეული დელეგატები, უფლება ექნება შეკითხვები მისცეს მთავრობას და განსაზღვრულ ვადაში პასუხი მიიღოს, შეიმუშაოს საკანონმდებლო წინადადება და განიხილოს ყველა კითხვები, რომლებსაც მათ მთავრობა გადასცემს ან თვით წამოაყენებენ. დროებითი მთავრობა ამ დაწესებულების დიდ მნიშვნელობას ანგარიშს გაუწევს, სანამ დამფუძნებელი კრება არ მოგვცემს რუსეთის ყველა მცხოვრებთა სრულ წარმომადგენლობას. მთავრობა მაგრათ სდგას ამ პროგრამის ნიადაგზე და იმედოვნებს, რომ მას მხარს დაუჭერს რუსეთის ყველა მოქალაქე, ხელს შეუწყობს მათ თავის მოქმედებაში—დაიცვას სამშობლო მტრისაგან, აღადგინოს წესიერება და კანონიერება და მიიყვანოს ქვეყანა დამფუძნებელ კრებამდე. მინისტრ—თავმჯდომარე კერენსკი, 25 სექტ. 1917 წ.

### დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ

**პეტროგრადი.** დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა დებულება ჯარში და ფლოტში, დამფუძნებელ კრების არჩევნების მოხდენის წეს-რიგის შესახებ. ჯარების რაიონში სდგება ხუთი ფრონტის საარჩევნო ოლქი. ფრონტის ოლქი სდგება ჯარების ნაწილებისგან. ფლოტში არჩევნებს მოსახდენათ სდგება ფლოტის ორი საარჩევნო ოლქი—ბალტიის და შავი-ზღვის. აქ არჩევნები ხდება ხმის უმეტესობით. შავი-ზღვის ფლოტის ის მეზღვაურნი, რომელთაც ომის გამო არ შეუძლიათ თავის ფლოტში მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, შეტანილ იქნებიან რუმინის ან კავკასიის ფრონტის საარჩევნო ოლქებში, სახელმწიფოს სხვა ადგილებში სამხედრო პირნი სხვა მოქალაქეებთან ერთად აძლევენ ხმას. საფრანგეთში და ბალკანეთში მყოფ რუსის ჯარებისთვის სდგება კერძო საარჩევნო ოლქი და კენჭს ყრა ხდება ხმის უმეტესობით.

### რკინის გზის გაფიცვის შეწყვეტა.

**მოსკოვი.** მოსკოვში დაბრუნდა პეტროგრადიდან იქ გაგზავნილი კომისია, რომელმაც აცნობა რკინის გზათა კავშირს, რომ მთავრობა შეჰპირდა მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ამის გამო კავშირმა განაცხადა, რომ გაფიცვა შესწყდა და ყველა რკინის გზებს დეპეშები გაუგზავნა განაახლონ მოძრაობა. მოსკოვის რაიონში რკინის გზებზე მოძრაობა შუაღამისას განახლდა.

**პეტროგრადი.** შრომის მინისტრი გვოზდევი ბაქოში გაემგზავრა ნავთის მრეწველთა და მუშების მოსარიგებლათ.

ზინგერის კომპანიამ გაუცხადა სამხედრო მინისტრს, რომ ის ხურავს ქარხანას პოდოლსკში, ვინაიდან არ შეუძლია მუშათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. დაითხოვეს 3,700 მუშას.

შრომის სამინისტროსთან შესდგა თათბირი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს დაზღვევის ნორმა და გამოიმუშაოს სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების უზრუნველყოფის საკითხი.

# ომის დეპეშები.

(პ. დ. ს.)

**რომი.** იტალიის ოფიციალური ცნობა. მთელ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლაა. ჩვენმა პატრულებმა ტყვეები წამოიყვანეს. ლოკოვაცის ახლოს მტრის პატრულები უკუვაქციეთ.

**ლონდონი.** ბრიტანეთის ოფიციალური ცნობა. ძლიერი წვიმები დაიწყო. იპრის ფრონტზე სროლაა.

**პარიზი.** დღის ოფიციალური ცნობა. მაასის მარჯვენა ნაპირზე სროლაა. გუშინ შამპანში უეცრად მტერი თავს დაგვესხა, მაგრამ უკუვაქციეთ. მტერი ძლიერ დავაზიანეთ და ტყვეები წავართვით.

# უკანასკნელი ფოსტა.

რუსეთის სხვადასხვა რაიონებში ამ უკანასკნელ ხანებში იხურება ფაბრიკა-ქარხნები. ვოლგის რაიონში ბევრი წისქვილები დაიხურა. მიზეზათ ასახელებენ დასაფქვავი მარცვლეულის უქონლობას და წისქვილების რემონტის საჭიროებას, ჩრდილოეთ გუბერნიებში დაიხურა მრავალი სახერხავი ქარხნები ხეტყის მასალის უქონლობით. იხურება აგრეთვე მრავალი შუშის ქარხნები. შაქრის უქონლობით იხურება კონფექტის ფაბრიკები. უმუშევართა რიცხვი დღითი-დღე იზრდება.

— გერმანიის სოც. დემ. პარტიის კომიტეტმა კარლ კაუცკი „ნოიე ცაიტის" რედაქტორობიდან გადააყენა, ვინაიდან ის „დამოუკიდებელ" სოციალისტურ პარტიაში ჩაეწერა. რედაქტორათ დანიშნა კომიტეტმა ჰენრიხ კუნოვი. ჟურნალის მკითხველებს კაუცკი ემშვიდობება რა, სწერს: 35 წლიწადი ვიყავი ამ ჟურნალის რედაქტორათ, მხოლოდ 18 ნახ. წლის არსებობის შემდეგ გადავიდა „ნოიე ცაიტი" პარტიის ხელში, როგორც საჩუქარი. კომიტეტმა ნება დამრთო კაუცკის მორიგი ნომრისთვის დამზადებული მასალა სტამბაში გაეგზავნა ასაწყობათ, მაგრამ ახალმა რედაქტორმა კუნოვმა ბრძანება გასცა, რომ ის მასალა არ აეწყოთ. ამის შესახებ კაუცკი შენიშნავს: ეს ისეთი საზიზღარი ამბავია, რომელიც გაუფრთხილებლათ გემის ნაღმით ჩაძირვასაც კი დაჩრდილავსო.

— გენერალურმა შტაბმა საჭიროთ დაინახა ჯარის ნაწილებიდან იმ მუშების დაბრუნება, რომლებიც გაფიცვისათვის იყვნენ გაწვეულნი სამხედრო სამსახურში.

— როგორც კომისარები იტყობინებიან ფრონტიდან, ჯარებს ბრძოლის უნარი თანდათან ეკარგება, ვინაიდან ხმები ვრცელდება ახლო ხანში ზავის ჩამოგდების შესახებ.

— იუსტიციის მინისტრი მომხრეა, რომ კორნილოვის საქმე გასარჩევათ გადაეცეს სამხედრო რევოლიუციონურ სასამართლოს და გადასინჯულ იქნას პურიშკევიჩის საქმე. ნოვოჩერკასკში საგანგებო კომისიას გზავნიან პეტროგრადიდან გენ. კალედინის საქმის გამოსაძიებლათ. პეტროგრადის დეპუტატთა საბჭომ ტროცკის თავმჯდომარეობით დაადგინა უარი ეთქვას დროებითი მთავრობას მხარის დაჭერაზე.

— დამფუძნებელ კრების მოწვევის მოახლოვებამ მეტათ გააცხოველა ფრონტზე ჯარებში პარტიული მუშაობა. ხშირათ იმართება სოციალ-დემოკრატების და სოციალისტ-რევოლიუციონერთა კონფერენციები. კონფერენციებზე თითქმის ერთი და იგივე კითხვები ირჩევა; არკვევენ, თუ როგორი უნდა იყოს პარტიის მიზანი დამფუძნებელ კრების არჩევნებში, ვისთან შეიძლება შეთანხმება ან ბლოკის შეკვრა პარტიული მუშაობა ფრონტზე, სადეპუტატო კანდიდატების დასახელება და სხ.

## საოლქო ყრილობა

### ამიერ კავკასიის ორგანიზაციების რუს. სოც. დემ. მუშ. პარტიისა

ამხანაგებო! საგანგებო ყრილობა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციათა რ. ს. დ. მ. პ. დანიშნულია 30 სექტემბერს ამა წლისა ქ. თფილისში ყრილობა გაიხსნება სახალხო სახლში დღის 12 საათზე. გასარჩევი კითხვებია:

1) მიმდინარე მომენტი,
2) დამფუძნებელი კრების არჩევნები: ა) საარჩევნო პლატფორმა, ბ) დეპუტატ კანდიდატების დასახელება,
3) საოლქო კომიტეტის და საკანტ. კომ. წევრთა დამატებითი არჩევნები.

ყრილობაზე თანახმათ პარტიულ წესდების მე 12 მუხლისა ყოველ 400 წევრზე უნდა გამოიგზავნოს თითო წარმომადგენელი. წვრილი ორგანიზაციები ერთდებიან და საერთოთ ირჩევენ 400 წევრზე ერთ დელეგატს. მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებთაც კომიტეტები ხელმძღვანელობენ, უფლება აქვთ თითო დელეგატის გამოგზავნისა, თუნდაც 400-ზე ნაკლები წევრი ყავდეთ.

ამხანაგებო! ემზადეთ ყრილობისათვის. წინასწარ გაარჩიეთ და გაარკვიეთ ფართე პარტიულ წრეებში ყრილობაზე გადასაჭრელი კითხვები, გამოიტანეთ შესაფერი რეზოლიუციები.

## ახალი ამბები

**ქალაქის გამგეობის გაქურდვა.** 27 სექტემბერს, ღამით, ქალაქის თვითმმართველობის შენობაში, როცა შიგ არავინ იყო, ერთი მეთვალყურის გარდა, შეპარულან ბოროტ განზრახველები, გაუტეხიათ კასსა და 150,000 მანეთამდე გაუტაციათ. მიღებულია ზომები ქურდების აღმოსაჩენათ.

◆ **პური.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის დადგენილების თანახმათ, 27 სექტემბრიდან სასადილოების, რესტორანების და სხვ. პატრონებს მიეცემათ პური ორჯერ ნაკლები, ვინემ დღემდის იღებდენ.

◆ **გაფიცვა.** ეკონომიურ ნიადაგზე გაიფიცენ ფოტოგრაფიებში მომუშავენი. თუმცა ზოგიერთ ხაზეინმა დააკმაყოფილა მუშების მოთხოვნილებები, მაგრამ მუშებმა მაინც არ დაიწყეს მუშაობა, რომ ამით სოლიდარობა გამოუცხადონ დანარჩენ ამხანაგებს.

◆ **საარჩევნო ფონდი.** თფ. ს.-დ. კომიტეტმა დამფუძნებელ კრების საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ მიიღო ქალაქთა კავშირის ცენტრალურ სახელოსნოში შეგროვილი 400 მან. 50 კ. მიიღო აგრეთვე ამხ. ს. ელიავას მიერ სხვადასხვა პირთა შორის შეგროვილი—62 მ. 20 კ. ფული უკვე გადაეცა დანიშნულებისამებრ.

◆ **დახმარება გაფიცულებს.** ტყავეულობის ქარხნებში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრებმა დაადგინეს ერთი დღის ხელფასი გადასცენ მოსკოვის გაფიცულ ამხანაგთა სასარგებლოთ. ამავე მიზნით თავიანთ შორის შეაგროვეს 200 მან.

◆ **რევოლიუციის ფონდი.** ხვალ დანიშნულია რევოლიუციის ფონდის გასაძლიერებლათ ფულის შეგროვება. თეატრების, კლუბების, კინემატოგრაფების და სხ. გასართობ დაწესებულებათა მთელი შემოსავალი გადადებულია ფონდის სასარგებლოთ.

◆ **ხონის საოსტატო სემინარიაში** მისაღები გამოცდები დაიწყება 3 ოქტომბერს, ხოლო მეცადინეობა—6 ოქტომბრიდან.

◆ **დამფუძნებელ კრების** საარჩევნო კომისიამ ცნობა მიიღო, რომ ყარსის ოლქში აღწერა 2 ოქტომბრისთვის დასრულდება, ერევნის გუბერნიაში ყოველად შეუძლებელია აღწერის თავის დროზე დათავება, ბაქოში და ბაქოს გუბერნიაში აღწერა დანიშნულ ვადაზე დასრულდება, სამეგრელო რაიონებში კი—არა უადრეს 25 ოქტომბრისა; თფილისის გუბერნიაში აღწერა თავდება.

◆ **წარმოდგენა.** ხვალ, სახალხო სახლში მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება აწყობს წარმოდგენას რევოლიუციის ფონდის გასაძლიერებლათ. წარმოდგენილი იქნება კარპოვის ცნობილი პიესა მუშათა ცხოვრებიდან „Зарево". ბილეთების ფასი 4 მ. 30—50 კ.-მდე.

◆ **მიხაილოვის აღმასრულებელი კომიტეტი** პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ ადგილობრივ გიმნაზიასთან არსებული ეგრეთ წოდებული სამზრუნველო საბჭო, რომელიც შექმნილია ძველი რეჟიმის დროს, დღესაც განაგრძობს მოქმედებას; კომიტეტი აღშფოთებას გამოსთქვამს, რომ დირექტორ-ინსპექტორის არჩევის ან სხვა საყურადღებო კითხვის გადაჭრის დროს საბჭო არ უშვებს თავის სხდომაზე ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელს და არც საზოგადოების რწმუნებულს, თუმცა ამ უკანასკნელს წესდების ძალით აქვს უფლება დაესწროს საბჭოს სხდომას, როგორც წევრი. კომიტეტი დაბოლოს აღნიშნავს, რომ დღევანდელ პირობებში შეუძლებელია გიმნაზიის ბედ-იღბალს განაგებდეს ერთი მუჭა ხალხისაგან შემდგარი საბჭო და მის მიერ არჩეული პირები არ შეიძლება სარგებლობდნენ კომიტეტისა და საზოგადოების ნდობით, თუ ამ უკანასკნელთა წარმომადგენლები არ მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობასო.

— 21 სექტემბერს თფილისში უცნობ პირებმა მოჰკლეს მე-9 უბნის მილიციონერი გიორგი გიგოლაშვილი, რომელსაც მის მიერ შეპყრობილი მეტაჩკე მიყავდა უბნის კომისარიატში. იქვე სადარაჯოზე მდგომ მილიციონერმა თავის მხრით მოჰკლა მეტაჩკე, რომელმაც გაქცევა დააპირა. გიორგი გიგოლაშვილი კახეთში წაასვენეს და სოფელ თუქურმიშაში მიაბარეს მიწას. საავადმყოფოდან ცხედარის გამოსვენებას დიდძალი ხალხი დაესწრო, უკრავდა სამხედრო მუსიკა, წარმოითქვა აგრეთვე სიტყვები.

◆ **თფ. გუბერნიის კომისარი დ. მ. პოპოვი** აცხადებს, რომ სხვადასხვა თანამდებობის პირებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს სამსახურის საქმის გამო იგი იღებს ყოველ დღე, დღის 1 საათიდან, კერძო საქმის გამო კი იღებს ყველას ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დღის 1 საათიდან, გუბერნიის კომისარიატის კანცელარიაში (ბებუთოვისა და რტიშჩევის ქ. კუთხე). საჩქარო საქმეების გამო მოლაპარაკება შეიძლება ყოველთვის.

◆ **შეცდომის გასწორება.** ენფიაჯიანცის თამბაქოს ქარხნის მუშებმა მ. და ჯ.-ქ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შესწირეს 963 მ. 50 კ. და არა 953 მ. 40 კ., როგორც გუშინდელ ნომერში შეცდომით იყო აღნიშნული.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 7 საათზე, სასახლის თეთრ დარბაზში შესდგება მუშათა, ჯარისკაცთა და და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წევრთა კრება.

## † ამხ. მ. ი. გულბისი.

27 სექტემბერს მოწყალების დათა წითელი ჯვრის საავადმყოფოში გარდაიცვალა მოწყალების და გულბისი. ის 1905 წლიდან მუშაობდა სოც.-დემ. პარტიაში რიგის ლატიშთა ორგანიზაციაში. წითელი ჯვრის მოსამსახურეთა სოციალდემოკრატიულ ჯგუფის ორგანიზაციაში დღიდან დაარსებისა მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა და საუკეთესო ამხანაგათ ითვლებოდა. ის ზოგიერთ მოწყალების დებს არ წააგავდა; იმ მცირე რიცხვთა შორის, რომლებსაც დაუსახავთ მიზნათ აღდგენა მოწყალების დის „დაცემულ" პრესტიჟისა, გულბისს თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. მაზე ძლიერ იმოქმედა მისი ძმისა და ამხანაგის უდროო სიკვდილმა, რომელიც ამერიკის სოც.-დემ. პარტიაში მუშაობდა და ამერიკიდან დაბრუნებისას რიგაში გარდაიცვალა.

ულმობელმა სიკვდილმა ჩვენს ჯგუფს გამოსტაცა გულბისის სახით მხნე ამხანაგი იმ დროს, როცა ჯგუფი სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლას აპირებს.

მისი ხსოვნა საუკუნოთ დარჩება ჩვენში.

ვლ. ხახველი.

## თფ. ხელის მომწერთა საყურადღებოთ

1 ოქტომბრიდან პარტიულ გაზეთებზე ხელის მოწერა („ერთობა", „ბორბა" და „პაიქარი") მიიღება რ. ს.-დ. მ. პარტიის თფილისის ორგანიზაციის ყველა რაიონულ ბიუროებში.

**ბიუროები მოთავსებულია:** 1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი, ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: (ავლაბარი, ორთაჭალა, ნავთლუღი) ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა დილ. 9—2 ს, საღ. 5—9 საათ. ტელეფონი № 5—98.

4) მეოთხე რაიონი: ვაჟთა მეექვსე გიმნაზია, ოლღის ქუჩა № 3. ღიაა საღამოს 5—8 საათამდე.

5) მეხუთე რაიონი: ნავთლუღი კახეთის რკ. გზის სადგურთან.

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც წლის ხელის მოსაწერი ფასი მხოლოდ 15 მანეთი ჰქონდათ შემოტანილი და დამატებითი ფასი არ შემოუტანიათ 1 ოქტომბრიდან გაზეთის გზავნა უწყდებათ.

## მორიგი პროვოკაცია.

### (კოოპერატივების გარშემო).

ყველას კარგათ ახსოვს, თუ როგორ აშკარა მტრულათ შეხვდენ ჩვენებური ვაჭრები ჩვენში კოოპერატივების დაარსებას. ცნობილია ისიც, რომ შექმნილ სულიერ განწყობილებაში თვით კოოპერაციის იდეიის წინააღმდეგ აშკარა გალაშქრება რომ არ მოხერხდა, ვაჭრებმა მიზანში კოოპერატორები ამოიღეს და მათი დამარცხებით, მათ შესახებ ხალხში უნდობლობის გაღვივებით შეეცადენ კოოპერატიული მოძრაობის დასამარებას. მაგალითისათვის საკმაოა გავიხსენოთ ხონელ სამტრედიელ ვაჭართა შავი ბლოკი სამტრედიის კოოპერატივის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

მაგრამ მიუხედავათ შეთანხმებულ შავრაზმულ იერიშებისა, მიუხედავათ ათას-გვარი ჭორებისა და ცილისწამებისა, ხალხმა კოოპერაციის იდეასთან ერთად მისი გულშემატკივარნიც გაარჩია მის ცრუ დამცველთა და აშკარა მტრებისაგან, იცნო მისი ნამდვილი მუშაკები და მათთან ერთად კოოპერატივების გარშემო შემოკრბა.

ომისაგან გამოწვეულ საქონლის ნაკლებობისა და საზიზღარი სიძვირის ხანაში, როცა წვრილფეხა სპეკულიანტებსაც საშუალება მიეცათ ხალხის ზურგზე მილიონები აეძრით, კოოპერატივები პირდაპირ მხსნელათ მოევლინა მომხმარებელთ, შედგარ მცველ-ქომაგათ გამოვიდა ხალხის მხარეზე. ხალხის ინსტიქტმა ეს მოვლენა შესაფერისათ დააფასა და ყოველმხრივ გაამაგრა და გაამრავლა ის. თვით მიყრუებულ სოფლებშიაც კი დაარსდა კოოპერატივი და ასე დაიქსელა მით ჩვენი ქვეყნის დაბა-ქალაქები. ეს მოძრაობა ამ ხანაში ისეთი ძლიერი, ისეთი მასიური იყო, რომ ვაჭრებმა ერთხანს თავი დამარცხებულათ იგრძნეს, იმედი დაჰკარგეს ხალხის მოტყუილების საქმეში, იმედი დაჰკარგეს, რომ ოდესმე ხალხს კოოპერატივის იდეას შეაძულებდენ და თავი აიღეს ამათ ცდას და მიჩუმდენ.

მაგრამ იმ თავითვე შეიძლებოდა წინასწარმეტყველება, რომ ეს მიჩუმება დროებითი იყო, რომ ძაღლის წინაშე ქედის მოხრა დიდხანს არ გაგრძელდებოდა, რომ ვაჭრები შემთხვევას არ გაუშვებდენ კოოპერატივების ძირის გამოსათხრელათ კიდევ უფრო საზიზღარი ჭორი გავრცელებით, მათ წინააღმდეგ ხალხში პროვოკაცია გაეწევათ. მათთვის ხომ ყოველი საშუალება ნებადართულია, თუ კი მიზანს ხვდება? და ამ მოლოდინმაც არ დაიგვიანა!

როგორც ვიცით, საქონლის ნაკლებობამ ერთი მხრით და სპეკულიანტების თავაშვებულებამ მეორე მხრით, თვით ნიკოლოზის მთავრობაც კი მიიყვანა იმ დასკვნამდი, რომ შიმშილობის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა ზოგიერთი სურსათ-საქონლის გადატან-განაწილება მაინც საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე გადაცემულიყო. ამ მიზნით მან მიმართა ქალაქის თვითმმართველობებს, მაგრამ რაკი მაშინდელი ქალაქები ამისთვის მზათ არ იყო, ბოლოს შეურიგდენ იმასაც, რომ განაწილების საქმეში კოოპერატივებს შეთანხმებოდენ. ეს მისწრაფება, კოოპერატივების ხელში მონოპოლიური თავის მოყრა პირველ საჭიროების საგნებისა კიდევ უფრო გაძლიერდა ახალი რევოლიუციონური მართველ-გამგეობის დროს და ეს არა მარტო იმიტომ, რომ დემოკრატიული მთავრობა სხვებზეთ ენდობოდა კოოპერატივებს, არამედ კიდევ იმიტომ, რომ რაც დრო გადის, საქონელი იმდენათ ცოტდება, იმდენათ უცილებელია მისი დემოკრატიული კოოპერატივების ხელში მოგროვება, რომ სამართლიანი განაწილებით შიმშილით სიკვდილს გადავურჩეთ. და განა ძნელი მისახვედრია, რომ სასურსათო კომიტეტების განკარგულებაში მონოპოლია და კოოპერატივები რომ არ ყოფილიყო, აქამდე ათჯერ მოასწრებდა შიმშილი არა მარტო თავისუფლების, არამედ ხალხის სრულ განადგურებას? განა სპეკულიანტთა გაუმაძღარი მადა, რომელიც რაც მეტ საჭმელს შთანთქავს, მით უფრო იმშვება, აქამდე გირვანქა პურის ფასს მანათამდე მეტს არ გაზრდიდა? გირვანქა შაქარი რამდენიმე მანათი არ ეღირებოდა ისე, როგორც სპარსეთშია?

დიახ, ეს იცის ყველამ და ყველაზედ უკეთ თითონ ვაჭრებმა. ამიტომაც მათ აღშფოთებას საზღვარი არა აქვს, ამიტომაც წყევლა-კრულვით იხსენიებენ ყველა იმათ, ვინც მათ ამ საქმეში ხელი შეუშალა. ისინი შურით მოჩერებიან კოოპერატივებს, როცა იქ ვაგონობით პური და სიმინდი მოდის და თითონ კი ცარიელ დუქანში სხედან; შურით უცქერიან იქ მოხვედრილ მყიდველთ როცა მის დუქანში შედარებით ცოტა ხალხია და თან ზიზღით უცქერიან კოოპერატორებს, როცა ისინი ხალხს 10 პროცენტის მოგებით აწოდებენ სანოვაგეს და ეძებდენ ვაჭრები მიზეზს, საპროვოკაციო საბაბს და აი, ნახეს კიდეც ის...

ყველამ იცის, რომ ყოველნაირი სანოვაგის დუქნებთან დღეს აუცილებელი გახდა „კუდების" გაგრძელება. „კუდები" იყო ძველ რეჟიმის დროს, არის ახალი რეჟიმის დროსაც და რაც დრო გადის, მით უფრო გრძელი ხდება. და ეს ასეა არა მარტო ჩვენში, არამედ—ყველა მეომარ სახელმწიფოებში და თვით ნეიტრალურ ქვეყნებშიაც. ის სულ იმატებს ომის დროს, მისი მოსპობა ომის მოსპობასთანაა შეკავშირებული.

ქალაქელ მკითხველს არ შეუძლია წარმოიდგინოს, თუ რას ნიშნავს ეს „კუდები" რას ნიშნავს რიგში ცდა ჩვენ დაბა-სოფლებში, სადაც ხშირათ რამდენიმე დღით ადრე იყრის სადგურებთან თავს დამშეული ხალხი ტომრებით ხელში სიმინდის მოლოდინში, აქ მუშტი-კრივამდის მიდის ხალხის საქმე და თუ გავიხსენებთ, რომ საქმე გვაქვს ქალაქთან შედარებით შეუგნებელ მასასთან, ადვილი წარმოსადგენია უკმაყოფილება იმ დაწესებულების წინააღმდეგ, რომელიც ხელმძღვანელობს დარიგებას. და ესენი ხომ კოოპერატივებია.

აი ეს უკმაყოფილება გამოიყენეს ვაჭრებმა ყველგან და ხმაშეწყობილათ გაუშვეს ხალხში პროვოკაცია: „კოოპერატივებმა დაგვღუპეს, ჩაიგდეს ხელში ყველაფერი, გააძვირეს ერთი ათად და ისიც აღარ უნდათ რომ ზედვან დააწყონ საქონელი და თავის დროზე მისცენ მყიდველსო". „ვაჭარი თუ მეტს გადამახდევინებდა, თავის დროზე მაინც მომცემდა, ტკბილი სიტყვით გამასტუმრებდა, იქით მეხვეწებოდა, ეხლა კი სამი დღე უნდა უყურო, უნდა ეხვეწო, გვერდები უნდა ჩაილეწოო" და სხვა. ასე ალაპარაკებენ ვაჭრები ხალხში თავის დამქაშებს და თითონ კვერს უკრავენ.

შექმნილ პირობებში ასეთ პროვოკაციას გასავალი აქვს მასის ბნელ ნაწილში. ამიტომაც მოწინავე ელემენტების ვალია ეხლავე ჩაახშონ დასაწყისშივე ეს პროვოკაცია და მით ხელი შეუწყოს ფართე მასის კიდევ უფრო დარაზმვას.

მსუნაგ ვაჭრებ-სპეკულიანტების პროვოკაციას რომ გასავალი ექნეს, ის მიზანში მოხვდებოდა არა მარტო კოოპერატივების, არამედ ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციებს და ბოლოს მთელ მართველ-გამგეობას მთელ რევოლიუციას. ამიტომაც ყველა ჭეშმარიტი დემოკრატის, ყველა რევოლიუციონერის ვალია აშკარად ამხილოს პროვოკატორები, აუხსნას შეუგნებელ მოძმეთ საქმის ნამდვილი ვითარება და მიუთითოს მაზედ, თუ ვისი ინტერესების სასარგებლოთ არის ამუშავებული ეს პროვოკაცია.

ამით მე სრულიადაც არ მინდა გავადიდო, გავაზვიადო მნიშვნელობა სპეკულიანტთა პროვოკაციული მოქმედებისა კოოპერატივების გარეშემო. არა, მე კარგად ვხედავ ბნელი ძალების უძლურებას, ვხედავ, რომ მათ პროვოკაციას ძლიერ ცოტა გასავალი აქვს, რომ მათ ქსელში მხოლოდ ორიოდე შეუგნებელი თუ ებმებიან აქა-იქ, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ დღეს დღეობით ჩვენ ვულკანზე ვდგავართ და ამიტომ სულ პატარა მოძრაობასაც, ხელოვნურ ქარსაც შეუძლია ზიანის მოტანა. ამიტომაც უნდა გვახსოვდეს ბრძნული თქმულება: „სიფრთხილეს თავი არ ასტკივდებაო".

მაშ, მშრომელ ხალხის მტერთა წინააღმდეგ!

ზიზღი პროვოკატორებს!

ზ. დათიაშვილი.

## ჩვენი ლიტერატურა და მისი გავრცელება

ერთი უმთავრეს იარაღთაგანი ჩვენი პარტიული პროპაგანდის გასაწევათ, ჩვენი იდეიის გასავრცელებლათ ხალხში ბეჭდვითი სიტყვაა. გაზეთი, ბროშურები, ჟურნალები—აი ის იარაღი და საშუალება, რომლითაც შეიძლება ჩვენი პარტიის იდეა შეიტანოს მუშათა მასაში, ჯარისკაცთა ბინებში, მშრომელ სოფლის მუშათა ბნელ კუთხეებში, სადაც შეიტანს კლასიურ თვითშეგნების ბრძოლის იარაღს ყოველივე ბოროტების და კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველათ.

ჩვენი ფართე მასას კარგათ ესმის მნიშვნელობა და არსებობა თავისი გაზეთისა, მაგრამ ასეთი თავისუფლების დროს მარტო ერთი გაზეთის არსებობით და რამოდენიმე წიგნაკების გამოცემით ჩვენ არ შეგვეძლია დავკმაყოფილდეთ. ეს იმას ემსგავსება, რომ ცხოვრების მიერ წამოყენებულ მრავალ კითხვებს, რომელიც არამც თუ ერთი დღით, არამედ საათობითაც კი იცვლება, პასუხი არ გავცეთ.

მაგრამ ისეთი [illegible], რომელსაც განაგებს ჩვენი პარტია, [illegible] მას არ შეუძლია, რაც ამ ხნის თავის განმავლობაში გამოსცა სხვადასხვა რუსულ-ქართულ ენაზე წიგნაკები, მაგრამ ყველა ეს ასეთ დროს წვეთია ზღვაში.

მოთხოვნილება წიგნაკებისა ხალხში დიდია, თუ კი მას მიმწოდებელი ეყოლება. ჩვენი პარტიის დროშის ირგვლივ მრავალი მშრომელი ხალხი იყრის თავს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, ამ ფართე შეუგნებელ მასას კი არავინ აწვდის იმას, რაც მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ჩვენ არ გვაქვს ყველა ადგილებში მტკიცე და მწყობრი-მომქმედი ლიტერატურის გამავრცელებელი ორგანიზაცია და ასეთი უორგანიზაციობის გამო ძლიერ ეშლება ხელი ჩვენი პარტიული წიგნაკების გამომცემლობას.

თქვენ კარგათ იცით, რომ ჩვენი პარტიას არ აქვს არც საკუთარი სტამბა, არც წიგნის საკინძი და არც ქაღალდი, ყველა ამის გამო ჩვენი პარტია იძულებული ხდება რამოდენიმე ასეული მანეთები ზედმეტი გადიხადოს სტამბის პატრონთა ჯიბის გასასქელებლათ, რომ წიგნაკები და გაზეთები დაბეჭდოს.

კაპიტალისტებს და სხვადასხვა ბურჟუაზიული პარტიებს კი ამ მხრით ძლიერ კარგათ აქვთ საქმე მოწყობილი და არც გასაკვირველია, თუ ისინი სცემენ აურაცხელ ბროშურებს, წიგნებს და გამოაქვთ გასაყიდათ ბაზარზე თავიანთი იდეიის გასავრცელებლათ. ბურჟუაზიული პარტიები არამც თუ მარტო თავიანთ წიგნაკებით მუშათა კლასს გონებას უხშობენ, არამედ—ფულსაც კარგათ იგებენ. ამისათვის ჩვენი პირდაპირი მიზანია და მოვალეობას შეადგენს ბურჟუაზიული სულის კვეთება გამოვააშკარაოთ და მათ ყოველის ფეხის გადადგმას სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ, ამისათვის საჭიროა გამოვცეთ და გავავრცელოთ ისეთი ლიტერატურა, რომელიც წარმოადგენს ჩვენი სოციალ-დემოკრატიული იდეიის ნამდვილ გამოხატულებას. ყველა ამისათვის კი საჭიროა გულწრფელი და ენერგიული მუშაობა, მაგრამ რას ვხედავთ დღეს ჩვენ? ყველამ კარგათ იცის ჩვენი გაზეთების საშუალებით, რომ, მაგალითათ, საოლქო კომიტეტმა, როგორც ქართულ ენაზე, ისე რუსულზე, გამოსცა რამოდენიმე წიგნაკები, და თითო წიგნაკი არა უმეტეს ოთხმეტი ათასისა და ასეთი რიცხვიდან თითქმის ნახევარზე მეტი არ გაყიდულა, ყველა წიგნის საწყობში აწყვია, არა თუ მარტო სხვადასხვა წიგნაკები, არამედ უკანასკნელი ამიერ-კავკასიის ყრილობის რეზოლიუციები და წესდებებიც კი არ წაუღიათ ორგანიზაციებს. ყველა პარტიის წევრი კი პირდაპირი მოვალეა თითო ცალი ჰქონდეს. მერე რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ხალხში ჩვენი წიგნაკები არ არის საჭირო, ანდა მოთხოვნილება არ არის, ანდა ორი-სამი შაურის გადახდა გვეზარებათ, რომ ვყიდოთ? არა, ამხანაგებო! ეს იმის ნიშანია, რომ ჩვენ, შეგნებული მუშები, სათანადო ყურადღებას არ ვაქცევთ ლიტერატურის და გაზეთის გავრცელებას.

შეიძლება მრავალი საქმეებით დატვირთული ყველა ჩვენთაგანი იძულებული გახდეთ, დროის უქონლობის გამო, ყურადღება ვერ მივაქციოთ და ამით თავი ვიმართლოთ, მაგრამ ეს ვერაფერი თავის მართლება იქნება, რადგანაც ჩვენს მუშაობასთან ერთათ, ერთი უკეთესი ხელის შემწყობი, სინათლის შემტანი, ჩვენი მიზნების განსახორციელებლათ არის ბეჭდვითი სიტყვა და ეს კი განზე მივდევით, დავივიწყეთ. ამხანაგო მუშებო! თუ თქვენ გაინტერესებთ ჩვენი პარტიის და იდეიის გამარჯვება, თუ თქვენ გაინტერესებთ გულწრფელათ ბნელი ჩვენი მოძმე მუშების შეგნება-განვითარება, მათი სწორი კლასიური გზაზე დაყენება, თქვენს პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ენერგიულათ შეუდგეთ ხალხში ჩვენი ლიტერატურის და გაზეთების გავრცელებას.

რომ გავრცელების საქმე კარგათ მოეწყოს, რომ არ დაგვრჩეს ქალაქის არც ერთი კუთხე მუშათა უბნისა, არც ერთი სოფელი მშრომელი გლეხობისა, ამისათვის საჭიროა, თანახმათ ევროპის მუშების პრაქტიკისა, ჩვენ პარტიულ ორგანიზაციებთან შესდგეს განსაკუთრებული მუშათა გაზეთ-ლიტერატურის გამავრცელებელი ორგანიზაცია, ამ ორგანიზაციის მოვალეობას შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურის და გაზეთების გავრცელების ხელმძღვანელობა, რომელიც შემოიკრებს მის ირგვლივ ასამუშავებლათ მთელი პარტიის წევრებს. ამ ორგანიზაციამ არ უნდა დასტოვოს არც ერთი მუშა, არც ერთი ოჯახი მუშისა, რომ მათში არ შეიტანოს თავისი გაზეთი და წიგნაკები. აი სწორეთ ასეთი საშუალებით შეიძლება, როგორც ევროპის მუშების მაგალითი გვიცით, ჩვენი მიზნის და იდეიის შეტანა ფართე მასაში, და ამის ამასთანავე გავამაგრებთ ფინანსიურ მხრით ჩვენი საოლქო კომიტეტის გამომცემლობასაც.

ამხანაგებო! სიტყვას თქვენ გეკუთვნით ეხლა და საქმეც. ყველა პარტიის წევრი მოვალეა თავის პარტიის ნამდვილი წევრობის სიმაღლეზე დადგეს, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც.

ა. ბლებიაშვილი.

## პურის ბარათები და „კუდები"

როცა პურის ბარათების შემოღებას შეუდგა ქალაქის სასურსათო კომიტეტი და ულუფა ერთი გირვანქით განსაზღვრა მოქალაქეებს სამწუხაროდ დაავიწყდა, მეტადრე ღარიბ ნაწილს, რომლებიც მხოლოდ პურით არჩენენ თავის წვრილ-შვილებს, მაგრამ ერთი იმედი მოეცათ: ეფიქრობდათ, ამიერიდან მაინც ბოლო მოეღებოდა იმ გრძელ „კუდებს" ფურნეების წინ, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ბარათების შემოღებამდის.

გვეგონა, ფურნეებში პური ყველასათვის საკმაო იქნებოდა და იმ მტაცებლობა, მუჯლუგუნებს და ლანძღვას, რასაც ამდენ ხანს განვიცდიდით, ბოლო მოეღებოდა და ყოველ მოქალაქეს, როცა მოესურვებოდა, მაშინ მივიდოდა ფურნეში და თავის კუთვნილ ულუფას მიიღებდა; მაგრამ მწარეთ მოვტყუვდით.

თუ წინათ თითოეულ ფურნის წინ ორმოცსამოცამდე კაცი იდგნენ რიგში, დღეს ასობით არიან გამწკრივებულნი და ათას უსიამოვნებას, ლანძღვას, გინებას და ზოგჯერ მუშტიკრივსაც კი საპატიო ადგილი აქვს დათმობილი.

თქვენის თვალით უნდა ნახოთ, რა ხდება დიდუბეში. დილის ოთხ საათიდან, როცა მუშა ხელოსნები სამუშაოზე მიეჩქარებიან და ყოველი მათგანი ცდილობს როგორმე ერთი გირვანქა პური სადილათ წაიღოს, ყველა ამ ხალხს სწყდებათ გრძელ რიგში უსდგებათ დგომა და მთელი საათების დაკარგვა. ეს ასე გრძელდება დილის ოთხი საათიდან შუადღის თორმეტ საათამდე. და თუ ყველამ მოასწრო და ცოტას თავის ხვედრის მიღებას, ხომ კარგი, თუ არა და—ფურნე იკეტება და ხალხმა 9 საათამდე შემთხვევით, რომ მთავრდება მთელ უბანში პურს ვერ იშოვით. ხვალისას ცხოვრება ახალი რიგები და ახალი „კუდები" იწყება... ხალხის „კუდები" გრძელდება ღამის თორმეტ საათამდე. აი ასე იტანჯებიან ისედაც ათას გვარათ შევიწროვებული განაპირა უბნების მცხოვრებლები.

ჩვენ გვგონია, ყველა ეს არა ნორმალური მოვლენა ადვილი ასაცილებელია თავიდან თუ, რასაკვირველია, მეტის ყურადღებით მოეპყრობიან ის ორგანოები მცხოვრებთა ინტერესების დაცვას, რომელთა მოვალეობასაც შეადგენს ეს. ავიღოთ მაგალითისათვის დიდუბე, სადაც უმეტეს ნაწილათ მუშა ხალხი ცხოვრობს: მთელს ელისაბედის ქუჩაზე, რაც კი დიდუბის რაიონში შედის, წინათ სამი ფურნე და რამდენიმე ლავკა იყო და ძლივს აკმაყოფილებდა მცხოვრებთა მოთხოვნილებას. ახლა ერთი ფურნე დარჩა და თავის თავად ცხადია, რომ მცხოვრებთა ერთ მესამედსაც ვერ აწვდის თავის დროზე პურს. ორი ფურნე სამხედრო საჭიროებისათვის ჩამოართვეს პატრონებს და ასეთი დიდი უბანი დარჩა ერთი ფურნის ამარა და ორიოდე ლავკის.

ის მეფურნე, რომელსაც დარჩა მატონობა და თითქმის მონოპოლია ამ უპატრონო უბანში,—როცა ნებავს მაშინ აცხობს ნახევრათ ცომს და ათასგვარ სიბინძურით სავსე პურს. (ამას წინათ თაგვი იპოვეს პურში, რაზედაც შესაფერი ოქმიც შეადგინეს) და მოქალაქეებიც უმორჩილებიან ჯერჯერობით ასეთ უსამართლო მოპყრობას, მაგრამ ყოველივე მოვლენას დასასრული აქვს და ამ მოვლენასაც ბოლო უნდა მოეღოს. ახლა კიდევ ადვილით ვიტანთ ქუჩებში საათობით დგომას და ლოდინს, მაგრამ რა იქნება მაშინ, როცა შემოდგომის წვიმები დაიწყება და სიცივეებიც მოუხშირებს რიგში მდგომ „კუდებს". აი ამას უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება როგორც სასურსათო კომიტეტმა, ისე ქალაქის გამგეობამაც და ახლავე გახსნან ქალაქის ფურნეების განყოფილება დიდუბეში ელისაბედის ქუჩაზე ერთ-ერთ შესაფერ ადგილას. ამასთანავე წინადადება მისცენ და უბრძანონ კიდევაც იმ ერთად ერთ თავგასულ მეფურნეს, რომელიც ცომის პურით და თაგვ მატლებით კვებავს დიდუბის რაიონის მოქალაქეთა ერთ ნაწილს, რომ პური გამოაცხოს სალი და გამომცხვარი, ისეთი მაინც, როგორიც ქალაქის გამგეობის ფურნიდან მოდის ზოგიერთ უბნებში. ამასთანავე პური ყოველთვის იყოს ფურნეში დილიდან საღამომდის და მოქალაქე, როცა დრო და საშუალება ექნება, მაშინ მიიღოს თავისი კუთვნილი ულუფა. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლულოვანებები, რომლებიც უკმაყოფილებას იწვევს მცხოვრებთა ფართო მასაში, დროზე უნდა იქნას გამოსწორებული და მოსპობილი. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ხმა არ დარჩება ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

„ხაჟორნელი".

## სოც.-დემ. პარტიაში.

**სად. ნავთლუღი.** 28 სექტემბერს შედგა სადგურ ნავთლუღის რ. ს. დ. მ. პ. წევრთა საერთო კრება. კრებას დაესწრო დაახლოებით სამასამდე წევრი. თავმჯდომარემ გაუკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტზე, ყველა კითხვებზე იქნა გამოტანილი შესაფერისი დადგენილებები. სხვათა შორის, იყო დასმული კითხვა სრულიად რუსეთის რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ. ამ კითხვას კრებამ სერიოზულად შეხედა დღევანდელ მომენტში. კრებამ დაადგინა: მართალია რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები ძალიან ცუდ პირობებში იმყოფებიან, მაგრამ ჩვენ, როგორც რევოლუციის დამცველები, ეკონომიურ კითხვებს ვაყენებთ მეორე საფეხურზე და ვიცით ჩვენ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს რევოლუციამ პირველი რიგში გაუმჯობესება და ვხედავთ ჩვენი გაფიცვის პირველი დღე იქნება რევოლუციის უკანასკნელი დღე, ამისათვის მოვუწოდებთ ყველა ამხანაგებს და თანამგრძნობთ ნუ აყვებიან გაფიცვის მოწოდებას, რომელიც სამუდამოთ დაასამარებს ჩვენს სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას.

ამხ. მონდობილობით გრიგოლ ლოლაძე.

**ლანჩხუთი.** ლანჩხუთის რაიონი 1905 წლიდან სათავეში ედგა გურიის განმათავისუფლებელ მოძრაობას, მაგრამ დღეს ზოგიერთი ამხანაგების კინკლაობით პირველობა კი არა, შეიძლება უკანასკნელობაც ვერ გაიწიოს.

24 ივლისს ამხ. ლუკა კვიტაიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა ლან. რაიონ. პარტიული კრება, კრებამ სხვადასხვა მიზეზების გამო მოახდინა რეორგანიზაცია ძველი კოლლექტივისა და აირჩია ახალი. ეს მოვლენა ამხ. ტ. ორაგველიძეს, როგორც ძველი კოლლექტივის წევრს არ ესიამოვნა, რის გამო იძულებული შეიქნა წერილით კრებისთვის ვრცელი დარიგებანი.

20 აგვისტოს ს. მენდარაშვილის თავმჯდომარეობით მოხდა ახვიათვე კრება. დღის წესრიგში, ტ. ორაგველიძის და მისი თანამოაზრე ამხანაგების განცხადებით, სხვათა შორის, იქნა შეტანილი საკითხი ძველი კოლლექტივის რეორგანიზაციის და ახლის არჩევის შესახებ. დიდი ხნის კამათის შემდეგ, რომ ტ. ორაგველიძეს და მის თანამოაზრეთ დეზორგანიზაცია არ შეეტანათ პარტიის წევრებში, კრებამ ტაქტიკური მოსაზრებით კომპრომისზე დადგა და მიიღო შემდეგი: „ძველი კოლლექტივის გადაყენება უმიზეზოთ და ახლის არჩევა არის ს. დ. წესდების მე-10 მუხლის ფორმალური დარღვევა" მე ვფიქრობ, ასეთი კომპრომისები, არა თუ სოციალ-დემოკრატიულ წესდების მე-10 მუხლის დარღვევაა, არამედ თვით ჩვენი პრინციპის ჰქრის ყოფნა, ვინაიდან ძველი კოლლექტივის რეორგანიზაცია უმიზეზოთ არ მომხდარა. რაც შეეხება საერთოდ ავტორიტეტის მოპოვებას და თვითონ მასაში პრესტიჟის აღდგენას, ეს დამოკიდებულია არა თავის ქედმაღლობაზე და ბევრ ლაპარაკზე, არამედ თვით პრაქტიკულ და ტაქტიკურ მოქმედებაზე. მაშ, ასე უკმაყოფილო ამხანაგო, გირჩევთ, რომ წარსული შეცდომები, შეცდომებათ აღიარეთ და მომავალში დაკვირვებით იმოქმედეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენს უმაღლეს ლოზუნგს „პრესტიჟს და ავტორიტეტს" კი არ მოიპოვებთ, არამედ მოჰკლავთ.

საჭიროა ცოტა ლაპარაკი და ბევრი საქმე!

ციმბირელი ქვაბაძე.

## მუშათა შორის.

### თფ. ტრამვაის მასალების საწყობი.

ტრამვაის პარკში არსებობს მასალების საწყობი. აი ამ საწყობის გარშემო შემდგარია კარგა მოზრდილი და თან დაზღვეული ჯგუფი, რომელიც, როგორც უნდა, ისე აპატრონებს საქმეს; ამ ჯგუფს სათავეში უდგას დ. ი. ყორღანოვის ყოფილი „მეფის მხარეული". აი ეს „მეფის მხარეული" მისი ჯგუფით გარეშე მოეწყვენ მასალების საწყობის გარშემო და გულიანად თბობენ ხელს. როგორც ვიცით „მეფის მხარეული" ტრამვაიში მოგვევლინა საწყობის საპატრონოთ ყოველგვარ მასალის მყიდველ ჩამბარებლათ. არაფერი სიცელის წინაშე ეს ვაჟბატონები უკან არ იხევენ, ოღონდ კი, რაც შეიძლება მეტი ჩაიჯიბონ. რაკი ეს ვაჟბატონი და მისი დამქაშები რამდენიმეჯერ საწყობის გამგემ სიცელეებში დაიჭირა და არ შეასრულა იმათი ბრძანება, რომ უანგარიშოთ და უწონელად მიეღო მათგან წარმოდგენილი საქონელი (რეზინი), „მეფის მხარეული" თავის ლაშქრით დირექტორებთან გაიქცა და დაბეზღა საწყობის გამგე, რომ მან, გამგემ, წონა, ანგარიში არ იცის და საჭიროა თავიდან მოცილება.

ასეთი გამოსვლები ამ ვაჟბატონებისა პირველი არ არის, ძველია და არც უკანასკნელი, დასამტკიცებლათ ამისი მოვიყვანთ. პარკის საგამომძიებლო კომისიის ხელში დაგროვილია აუარება მასალები, სადაც ნათლად ჩანს მთელი რიგი ბოროტ-მოქმედებები, ჩადენილი ზემო ხსენებული ჯგუფის მიერ. მიუხედავათ ამისა, ეს გმირები დღემდის განაგრძობენ თავის მტაცებლობას ძველებურად ტრამვაის ქონებისას. საჭიროა ასეთ აშკარა ბოროტებას დროზე მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და ქურდებს ადგილი არ უნდა ქონდეს საზოგადო საქმეში. სამწუხაროთ, პარკის სამმართველო ორგანიზაციამაც ვერ გაამართლა იმედი. პირველ ხანებში, როცა რევოლუციური ტალღები მაღლა-მაღლა იწევდნენ, ჩვენი ამხანაგებიც სათანადო გამჭრიახობას იჩენდნენ და როცა რევოლუციის ტალღები ცოტაოდენ შენელდა, ჩვენმა კომისიის წევრებმაც აიღეს ხელი ენერგიულ მოქმედებაზე და ამის წყალობით, რომ ჯერ კიდევ ბევრი დარჩა გასაწმენდ-გასაძევებელი ტრამვაის მიდამოებიდან. დრო კია ამხანაგებო, მეტის ყურადღებით მოეპყრათ ნაკისრ მოვალეობას. საჭიროა ყველა „ბოროტ-მეტების" ტრამვაიდან განდევნა და მათ ადგილას ნამდვილ პატიოსანი მუშაკების ჩაყენება, რომლებიც პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ახალი ცხოვრებისათვის გამოუსადეგარი ხალხი დროით ჩამოაშორონ საზოგადო საქმეებს. ვიმედოვნებთ, რომ ამ მოვლენას ახალი ქალაქის გამგეობაც მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას და ისიც ჩვენ კომისიასთან ერთად ჩქარა შეუდგება სათანადო ზომების მიღებას არა მარტო პარკში და მასალების საწყობში, არამედ—ტრამვაის წარმოების სხვადასხვა დარგებშიაც. განსაკუთრებით საჭიროა ყურადღება მიექცეს კანტორას.

მოიგონეთ წარსული გაფიცვები და ზოგიერთების მოქმედება, როდესაც 1914 წელს გაფიცვის დროს ერთ-ერთი ამხანაგს, კანტორის მოსამსახურეს მუშებთან უნდოდა შეერთება; დაიჭირეს და კინაღამ ჯვარზე აცვეს,—როგორ თუ გაბედე და ვიღაც არამზადა „ზაბასტოვშჩიკ შპიონიკ" კონდუქტორებს აყევი და ჩვენი სახელი გარეჯი იმათშიო, ეს იყო ამხანაგი [illegible], რომელიც შეიწირეს იმ დროის კანტორის ყორნებმა და ახლა გამოდიოდნენ და მუშებს აჰკიდებენ და გაიძახიან, „ჩვენც ვნახულობთ" და თქვენთან ერთად ას პროცენტზე ნაკლებს არ ავიღებთო. ამავე დროის დირექტორებსაც თავიანთ ამხანაგებათ სთვლიან. აი ამ აქეთკენ საჭიროა სერიოზული ყურადღების მიქცევა, რომ ყოფილი მუშების მტრები და მყვლეფავები ამხანაგებათ არ მოგვევლინონ.

„ხაჟორნელი".

**დმიან-აბუხლავის მუშათა ცხოვრება** (ბათუმ-ტრაპიზონის გზა). მომუშავეთა რიცხვი აღემატება ორი ათას კაცს—ქართველი და მუსულმანი. მუსულმანი მუშები უმრავლესობას შეადგენენ; მცირე რიცხვს—ქართველები. მუსულმანი მუშები მოსულნი არიან ახალ დაპყრობილ ოსმალეთის სოფლებიდან. არა მგონია სოფლათ ან ქალაქათ მოიძებნებოდეს ასეთი უგული და ცხოვრებაზე ჩამორჩენილი ქართველი მუშები, როგორც აქ არიან. ნაცვლათ ამისა, რომ დღევანდელ დროის ყოველივე ჩვენი უფლება და მოქმედება შეგნებით თავისუფლების დასაცველათ, ამისათვის საჭიროა მჭიდრო და მაგარი კავშირი და ორგანიზაცია, რომ ყოველივე კონტრ-რევოლუციონური გამოსვლები ძირშივე ჩავკლათ და შევებრძოლოთ რევოლუციის ყველა მტრებს, ჩვენ, ქართველ მუშებს, ეს ვერ შეგვეგნიათ. სამაგიეროთ, მათში ათასგვარი არა-ასეულ ჩვეულებებს მოეკიდებიათ ფეხი. აიღებენ ჯამაგირს თუ არა, მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს, ხელით გარბიან ქალაქის სათამაშოთ. დილიდან-საღამომდე და ხან საღამოდან დილამდე არის ერთი ვაი-უშველებელი: უწმაწური გინება ყურთ-სმენა შორის. სამწუხარო ის არის, რომ მოაჯდებიან გვერდში ბავშვებს და თავის უზნეო და გარყვნილ ხელობას ასწავლიან. რამდენჯერმე მოვიწვიეთ კრება, ავუხსენით და დავუმტკიცეთ ეს მათი ზნეჩვეულება, მაგრამ ვერაფერ მიზანს ვერ მივაღწიეთ. სწორეთ ამით აიხსნება ის, რომ მუშების სიბნელით და უცოდინრობით სარგებლობს ბინის მოიჯარადრე და ყველა უზნეო ექსპლოატაციას.

ერთხელ და უკანასკნელათ მოვუწოდებ ამხანაგ მუშებს, რომ დაეკვირდნენ დღევანდელ როგორ ცხოვრებას, შეკავშირდნენ ორგანიზაციულათ და უკუაგდონ ყოველივე უწესობა, გამოიწერონ თავიანთი ინტერესების დამცველი ჟურნალ-გაზეთები, მიჰყონ ხელი თვითგანვითარებას, რადგანაც ამას თხოულობს დღევანდელი დრო და მუშის პიროვნებას ვერავინ ვერ გასთელავს ფეხქვეშ, როგორც დღეს ამას ადგილი აქვს.

მუშა მიხეილ ბახიძე.

**ფოთი.** სადგურის დაბალ მოსამსახურეთა კრება შედგა 2 სექტემბერს. კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: ვუერთდებით სადგურ ქუთაისის მოსამსახურე ამხანაგების 7 აგვისტოს დადგენილებას, რომ არ ჰქონდეს უფროსებს არავითარი უფლება მოსამსახურეთათვის სამსახურში დაწინაურების გინდ დაჯილდოვების მიცემა, როგორც ეს იყო ძველად. ეს საქმე ეკითხებოდეს არჩეულ ჟიურის. პროტესტს ვუცხადებთ მუშათა ინტერესების ფეხქვეშ გამთელავს მანკევიჩს და სხვა დაბალ უფროსებს, რომლებიც მეტადრე გულმოდგინებით ჟიურის წინააღმდეგ, რაიც გამოიხატა ბიუროკრატიულ დევნაში.

გაუმარჯოს ჩვენი ამხანაგების შეგნებულ მუშაობას.

კრების მონდობ. ვასილ ჯღარკავა.

24 სექტემბერს, მეორეთ მოწვეულმა თფილ. სამშენებლო მუშა-დურგალთა პროფ. კავშირის წევრთა საზოგადო კრებამ განიხილა გამგეობის ყოფილი თავმჯდომარის ამავე კავშირისა, გიორგი ლევანიშვილის საქმე და მოწონებული კავშირის გამოტანილი რეზოლიუცია, რომელიც იყო გამოცხადებული მუშათა კავშირის ჟურნალში რუსულ ენაზე, № 4-ში. კრებამ მიიღო ამ გვარი შეცვლით: 60 მანეთის მაგივრათ გადახდეს ხორეშათ 126 მან. ლევანიშვილს. გარიცხულ კავშირიდან და ვუცხადებთ ბოიკოტს, ვინემ თავის შეცდომას არ გამოასწორებს. მოვუწოდებთ კავშირის წევრებს მტკიცეთ შეასრულონ დადგენილება.

კრების თავმჯდომარე თვალიაშვილი.

მდივანი დავითოვი.

## ჯარის-კაცთა წერილები.

**ძ. ხლუჟასლახი** (სპარსეთი). ცუდი ამინდების, და დიდი სიცხეების გამო, გახშირდა ავადმყოფობა. აქ არის მეხამე მოძრავი გოსპიტალი, წითელი ჯვრისა, რომელშიც არიან მოთავსებულნი ავადმყოფები. ავადმყოფების რიცხვი დიდია, უმეტესი ნაწილი ტიფით, გვერდის ტკივილით, მუცლის ტკივილით და აგრეთვე ციებ-ცხელებით. ყურადღება ავადმყოფებს ნაკლებად აქცევენ. საწოლი ავადმყოფები უპატრონოდ ყრიან,—ბუზები თავს დახვევიან, გასასმელი საჭმელი კვერცხ-ქათამი, ზოგს გული მისდის და წყალს თხოულობს, ზოგს სხვა რაიმე აწუხებს, მაგრამ სადღაა მშველელი! ხან-გამოშვებით, გამოჩნდებიან მოწყალების დები, გადახედავენ ძალიან დასუსტებულ ლოგინ მიზდილ ავადმყოფებს და ისევ ბადიანგებს გასწევენ. გოსპიტალების კარვები ყოველ მხრივ ღიაა, უბერავს ქარი, ავადმყოფნი კი პერანგის ამარა ყრიან. ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ დღეში ოთხი-ხუთი ლოგინ მიზდილი ავადმყოფი ესალმება წუთი სოფელს. საჭიროა ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ მოწინავე ამხანაგებმა.

ჯარისკაცი მელ. კუნჭულია.

—

გთხოვთ გაზეთის საშუალებით აცნობოთ მშობლებს, გარდაცვალება ჯარისკაცის ეპიფანე პაპავა ძე ჰანტურიასი, (ზუგდიდის მაზრის მცხოვრები) (დიზინტერიით). მეხუთე № ლაზარეთში, 6 სექტემბერს, დაკრძალულ იქნა 8 სექტემბერს საძმო სასაფლაოზე დ. ეილექში (ტრაპიზონის გუბ.). ვუცხადებთ რა მის მშობლებს, ვიზიარებთ მათ მწუხარებას.

ჯარისკაცი იასონ ალ. დოლიძე.

—

ოსმალეთის ფრონტზე მყოფი, სოფ. მარტყოფის მცხოვრები ჯარისკაცები, გარსია მინჯიკაშვილი, მიტრო ახალკაცაშვილი, გიორგი გოგინაშვილი და დათიკო იმედაშვილი მწუხარებას გამოსთქვამენ პეტრე ჭილაშვილის გარდაცვალების გამო.

—

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ დღეისათვის რიგი კომიტეტებისაგან და კომისარებისაგან მოწმობების მიცემა სამხედრო პირებისათვის, რომლებიც თხოულობენ მოკლე ვადით სახლში წასვლას, ძლიერ ფართო ხასიათს ღებულობს და რადგანაც ყველა თხოვნების დაკმაყოფილება და ფრონტიდან გაშვება შეუძლებელია ამ ვადა დღევანდელ პირობებში, ქართველ მსროლელ პოლკის კომიტეტმა თავის სხდომაზე დაადგინა: სთხოვოს ყველა სამხედრო ადმინისტრაციულ კომიტეტებს და კომისარებს, მოწმობების მიცემა იქონიონ მხოლოდ ისეთ პირებს, რომლებიც ძლიერ საჭიროებენ და რომელთაც მართლა შეეხება რაიმე უბედურება. ვ. ი. სიკვდილი, მძიმე ავადმყოფობა ახლო ნათესავისა და სხვა ამგვარი და ამით ჩვენც შეგვეძლება მივცეთ ანგარიში გაუწიოთ და შევიღებათ ისეთი ამხანაგის შეღავათს, ვისაც მართლა საჭიროება დაჭირდება წასვლას.

ქართველ მსროლელ პოლკის კომიტეტის
თავმჯდომარე პოლკ. [illegible].
კავკასიის მოქმედი ჯარი.

**ღია წერილი ბატ. ნესტორ გოგიტაურს.**

გებულება კი ყოფილხარ საქმით „მოზიზღულო" თანამოქალაქე ცენზურგობისათვის, რაც კიდევაც დაგვიმტკიცეთ. ძმაო, თუ გახსოვს გინდოდა, შენ თითონ უნდა იყო პასუხისმგებელი, თორემ შენს მაგივრათ ორი კაცის და მასთან ორასი კაცის პირადი ნდობა კი არ უნდა გაგეთელა. ჩვენ დავემოწმეთ და გივლენით სიმღერა ამხანაგათ და ორმა კაცმა დავაყენეთ სიტყვა თქვენთან საიდუმლოდ, და გეგონა, თორემ თითონ იცი თუ წაგიღელავა. ისიც იცი, რომ დათიკო ლოლაძე რომ არ წამოგიყოლებდა, არც მე მოვყვებოდი და დათიკომ უკანასკნელად რამდენი ელაპარაკა რაღაცის ფერიას, მაგრამ შენ არც ერთი ეს არ იგულისხმე, რომ ისეთ დაბრუნებულიყავი. ბოლოს ის მოიტანე რაც დაგაბარეთ და არც ფული გამოგზავნე უკან. რა გაგაყვავეთ შენ რა მაგეთ? თავი შერცხვინეთ და ჩვენი საქმეც გაფუჭეთ (საერთოდ ქართველების), მაგრამ ორის კაცში პირის გატეხა დიდათ სამწუხაროა, ეს ნუ დაგავიწყდება.

ჩვენ, მეექვსე როტის ჯარისკაცები არ გაგიშვებთ ისე, შენ რომ გგონია. ყოველივე საშუალებას მოვმართავთ, რომ სხვამ მაინც ვერ გაბედოს შენსავით თავხედობა. ამასთანავე საერთოდ გაკიცხვას გიცხადებთ მე-14 ბატალიონის ჯარის კაცები.

ამხანაგების მონდობილობით
ჯარისკაცი მიტროფანე ხუხუნაიშვილი.

## ფონდი.

გიორგი ბახტაძისაგან სიასთან ერთად მივიღეთ სტამბის ფონდისათვის 37 მან, სიაში 13 კაცია ხელ-მოწერილი.

მიხ. დეკანოიძისაგან გაზეთის ფონდისათვის—5 მანეთი.

ლევან კარანაძისაგან—3 მან.

ქ. შენგელაიასაგან თფილისის სადგურის მოსამსახურეთა შორის (პარტიის წევრები) შეგროვილი პარტიული სტამბის ფონდისათვის—70 მანეთი.

მე-286 პურის დრუჟინის ქართველ ჯარის-კაცების დიმიტრი ხვიჩიშვილისა და ალექსი გოგელიასაგან ამხანაგების მონდობილობით—34 მან., რომლისაგან, თანახმად ჯარის კაცების სურვილისა, სამი თვით გაზეთი გაუგზავნეთ მათ, დანარჩენი ფული ჩაირიცხა სტამბის ფონდის სასარგებლოთ.

ჯარის-კაცის ისაკი ხაბაშვილისაგან—გაზეთის გასაწერათ 11 მან. 50 კაპ., სტამბის ფონდისთვის—9 მან. 50 კაპ. სიაზე ხელის მოწერს 22 კაცი.

„ერთობის გაწერა" ჯ.-კ. ვანო კობახიძემ გარდაცვალებული მეგობრის ნიკოლოზ სახსოვრათ 4 თვით გაზეთი გაუწერა სოფ. ახალსოფელს და ჭიბრევს (რაჭის მაზრა).

იაგორ კალანდაძემ გარდაცვლილის ძმისწულის გრიშა ათანასეს ძე კალანდაძის სახსოვრათ 4 თვით (10 მან. 40 კაპ.) გაზეთი გაუწერა სოფ. [illegible] (გურია) სკოლას.

ნესტორ [illegible] ძე ლომთათიძემ თავისი მეგობრის ფილიპის სახსოვრათ ჯარის-კაცებისათვის გაზეთის გასაწერათ შემოიტანა 7 მან. 80 კაპ., გაზეთის ფონდისთვის—10 მან., ქვემონაჩნის (გურია) უფასო სამკითხველოს შეეწირა 10 მანეთი.

რედაქციისაგან: შემომწირველთა სიას ადგილობის გამო ვერ დავბეჭდავთ.

## თეატრი და ხელოვნება

**სახალხო სახლი.** 27 სექტემბერს, სახ. სახ. არს. ქართულმა დრამ. დასმა [illegible] წარმოადგინა [illegible] „ტარტიუფი" ანუ მუშტაიდი". ქართული [illegible] ნ. გოცირიძემ სავსებით განახორციელა მოლიერის ფანტაზია ორგონის როლში. იმერეთია მსახიობი, რომელსაც ძალა შესწევდა ამა თუ იმ როლის სრულიად შეცვლა. ეს არ ითქმის ნ. გოცირიძეზე. ის ყოველთვის და ყველგან ხელის მკაფიოდ მადლიანობით ევლინება ხალხს და ეს უკანასკნელიც დაინტერესებით ხვდება უფრო ხელოვნის გამოსვლას... კარგნი იყვნენ მარიანა (ა. ქიქოძე), დორინა (ვ. მარგველაშვილი), ტარტიუფი (გ. ბედიანიძე), კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე მეორე მოქმედებაში მარიანას მდგომარეობამ, როცა სარწმუნოებით თვალ-ახვეული მამა ორგონი თავის ქალის (მარიანას) ვალერზე (ნ. ჭანკვეტაძე) იდეალურ სიყვარულს ცბიერ ტარტიუფის გულის მოსანადირებლათ ფეხ-ქვეშ თელავს...

წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო.

ბედიანი.

P. S. სახალხოს თეატრის დირექციამ მიაქციოს ყურადღება იმ მოვლენებს, რასაც ადგილი აქვს კანცელარიაზე (წარმოდგენის დროს სიტყვების წაშლა და სხვ.). ბ.

## ცნობები

### ჯარის კაცების შესახებ.

— ჯარისკაცი ([illegible]) ისაკი ფილიპეს ძე ძნელაძე მსახურობდა კავკასიის მოქმედ ჯარში 23-ე კავკასიის მსროლელთა პოლკში 14-ე როტაში 1 ლ გუნდში. აგერ თვეა მის შესახებ მისმა ნათესავებმა არაფერი იციან. ვსთხოვთ, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გვაცნობონ შემდეგი მისამართით: Тифлисъ ольгинская ул. „Номера Англетеръ" Ираклію Семеновичу Лорія.

— ჯარისკაცი ვარლამ თედორეს ძე რამიშვილი მსახურობდა მოქმედ ჯარში მე-20-ე კავკასიის მსროლელ პოლკში, 16 როტაში მატყვიარეში, 3 ზოდში. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გვაცნობოს შემდეგი ადრესით: г. Хони Евгеній А. Мирджанишвили.

— ჯარისკაცი ანტონ ცაგურია მსახურობდა მე-3 მუშათა ბრიგადაში მე-14 ბატალიონში მე-7 როტაში, გახდა ავათ და გაგზავნილი იქნა ქ. ხნისში ლაზარეთში. აქედან გადაგზავნეს ხარპუთში. მას შემდეგ არაფერი ვიცით მის შესახებ და ვთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის, გვაცნობოს. Кавказская Армія 3 кавказскій рабочій баталіонъ 7-ая рота, Константину Гочелейшвили.

— იაკობ პავლეს ძე დვალიანიძე მსახურობდა 6 კავკასიის მოსაზღვრე ქვეითა პოლკში, 12 როტაში, 2 გუნდში. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გვაცნობოთ შემდეგის მისამართით: თფილისი კრასნოვსკის ქუჩა № 2, დიმიტრი პავლეს ძე დვალიანიძე.

— ჯარისკაცი აბესალომ ზაქარიას ძე გოგუაძე მსახურობდა მე-156 ელისავეტპოლის ქვეითი პოლკის მე-13 როტაში. დაიჭირეს აგვისტოში 1916 წელს. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გთხოვთ მაცნობოთ შემდეგი ადრესით: Кавказская армія 5 кавказскій вьючный транспортъ, Давиду Гогуадзе.

— პართენ სიმონის ძე შატბერაშვილი მსახურობდა გერმანიის ფრონტზე 27 მსროლელ პოლკში, „[illegible]" როტაში. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, ვსთხოვთ შეატყობინოთ სადგურ წიფაში, პლატონ სიმონის ძე შატბერაშვილს.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. წვაძეს.** თქვენი წერილი გვიან მივიღეთ, ამიტომ არ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ შემდეგი.

ექიმის თანაშემწე
ვანო სააკაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს სად. 4—6 ს. ზედ.—ვენერიულ-სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებობა, ნერვების აშლილი, სიფილისიანი, ციებიანებს და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა და სხ.
მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი პოლიციის ნაწილი). (24—6)

ექიმი მ. გ. ბეშხაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის [illegible] ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე [illegible]—5 ნახ. საღამოს, [illegible] ქუჩა, № 13.

ექიმი
დ. ი. ჟორდანია
იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სპეციალურად ქრონიკული მალარიის და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. გორის ქუჩა № 6 (დიდუბე)

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანქ ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასაჟი და ელექტრიზაცია. [illegible] ქუჩა, № 4